6992

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული

სკოლამდელი ასაკისა

1916

აპრილი, № IV.

მოზრდილთათვის

წაკადული

საყმაწვილო ჟურნალი.

წელიწადი მე-XII. № 4. 1916 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

297

დაჭრილი.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—დაკრილი,—სურათი 1

II—გაზაფხული,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა 3

III—სიზმრად ვნახე,—ლექსი მისავე 6

IV—სამაგიერო,—მოთხრობა დ. ძეძამიძისა 8

V—თოვლის ფიფქის თავგადასავალი,—სკვდიასი 15

VI—აღდგომა სოფლად,—ლექსი ი. სიხარულიძისა 16

VII—ძღვნად შიოს,—ლექსი მისავე 17

VIII—ბედის კალოშები,—ზღაპარი ჰანს ქრისტიან ანდერსენისა (დასასრული) თარგმანი გერმანულით ილ. ნაკაშიძისა 19

IX—სამკურნალო ხელოვნება და სახელგანთქმული მკურნალები, წერილი მეხამე,—ივ. როსტომაშვილისა 57

X—ნარევი,—აღმოსავლეთის სიბრძნე, თარგმანი დ. ანთაძისა 33

XI—გასართობი,—რებუსი 64

ტფილისი, ელექტრონით მბეჭდავი წიგ. გამ. ქ. ამხ—სა, ვანქის დიდი ქ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხული

ცა გაირღვა... მზე იცინის,
მზე გვიჩვენებს ლამაზ პირსა;
ხმა მოისმის სალამურის,
სალამური ჰკვნესის, სტირსა.

გაზაფხული! მღერის ყ[illegible]
გაზაფხული!.. გაზაფხული[illegible]
ყველა ხარობს, ილიმება[illegible]
ნეტარებით ტოკავს გ[illegible]

ბიბლიოთეკა

ბუჩქში ჰგალობს იადონი,
იადონი შესტრფის მზესა;
ცით ტოროლა გადმოჰხარის
გაზაფხულის ტურფა დღესა.

მეხრეც მღერის... თავის ხარებს
ქედს უკოცნის, შესტრფიალებს;
ჩვენი ვანე კამეჩს უტევს,
შოლტს ჰაერში ატრიალებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამ-ღამობით მთვარე სცურავს,
მთვარე აფრქვევს ვერცხლის სხივებს;
წყარო ჰკოცნის ია—სოსანს,
თავზე აყრის ალმას—მძივებს.

გაზაფხული!.. მღერის ყველა:
გაზაფხული!.. გაზაფხული!..
ყველა ჰხაროობს, იღიმება,
ნეტარებით ტოკავს გული!...

დ. ელიოზიშვილი.

სიზმრად ვნახე...

იზმრად ვნახე მთა-ველები...
მთა-ველები,
ღრმა-ხევები,
მწვანით ტურფად მოკაზმული...
მოკაზმული,
მობასმული.

ვენახებში, ლამაზ ვაზზე...
ლამაზ ვაზზე,
იმ დილაზე
ყურძნის მტევნის გიშრის სახე...
გიშრის სახე,
დავინახე...

დილით გამომელვიძა,
გავახილე თვალები;
წინ სამშობლო დამიდგა,
იმას ვენაცვალები!

—

სიზმრად ვნახე ბადრი მთვარე...
ბადრი მთვარე,
მონარნარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერცხლის სხივებს ჰფენდა არეს.
ჰფენდა არეს,
იმ მწუხარეს!..
ცის გუმბათზე ვარსკვლავები...
ვარსკვლავები,
ნაზ თვალები,
უდარდელად ყიალებდნენ...
ყიალებდნენ,
ბჟყვრიალებდნენ!..

დილით გამომელვიძა,
გავახილე თვალები;
წინ სამშობლო დამიდგა,
იმას ვენაცვალები!

—

სიზმრად ვნახე ტურფა წყარო...
ტურფა წყარო,
სანეტარო.
მზის სხივებზე პრიალებდა...
პრიალებდა,
ჩქრიალებდა...
ცას მერცხალი დასცურავდა...
დასცურავდა,
ფრთას სწურავდა.
ლექსს უმღერდა არე-მარეს...
არე-მარეს,
ტურფა მხარეს...

დილით გამომელვიძა,
გავახილე თვალები;
წინ სამშობლო დამიდგა,
იმას ვენაცვალები!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმრად ვნახე მთაზე ცხვარი...
მთაზე ცხვარი,
მაძოვარი...
მეცხვარეს ხელთ ჰქონდა სტვირი...
ჰქონდა სტვირი,
გასაკვირი...
მისი ხმები იმ სალამოს...
იმ სალამოს,
მთელ მიდამოს
გულს სიამით უძგერებდა...
ოჰ, რას მღერდა!..
ოჰ, რას მღერდა!..
დილით გამომეღვიძა,
გავახილე თვალები;
წინ სამშობლო დამიდგა,
იმას ვენაცვალები!..

—

ტურფა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ედემის შესადარები;
შორს ვიტანჯები უშენოდ,—
რომ მნახო, შეგებრალები.

დ. ელიოზიშვილი



სამაგიერო

I

კათათვის საღამო იყო. ჩამავალ მზეს დურუჯის ხეობიდან თავისი სხივები აეკრიფნა და კუდის გორს ამოფარებული გამომშვიდობებისას მხოლოდ გალმა ქედზე მოკეკლუცე ვერხვების ფოთლებს ეალერსებოდა და ნეტარ-ჟრუანტელით აღტყინებულთ თვალის მომჭრელად აელვარებდა.

მთებიდან წამოსულმა ნიავმა სიცხის ლული გაფანტა და მიყუჩებული ბუნება გამოაფხიზლა. დურუჯმა თავის ჩქრიალი ნიავს გამოატანა და ფრინველების ჟრიამულს შეუერთა. ადამიანმაც მუშაობისაგან გაოფლილ შუბლზე ხელი გადაისვა და ახმაურებულ მიდამოს გაუღიმა.

საცხენისის სამეურნეო სკოლის მოწაფეებს გაეთავებინათ ბაღში მუშაობა და საძილოს წინ შეგროვილნი ერთმანეთს გულის ხვაშიადს უზიარებდნენ.

— იცით, ბიჭებო, რა გითხრათ,—დაიწყო გიგამ:—ხვალე ხომ კვირაა და მოდი ზედამხედველს დავეთხოვოთ დურუჯის სათავის დასათვალიერებლად. წელან მებაღიანთ იასე ამბობდა, იმ ოხერ დურუჯის სათავეში იმოტელა ზღვა-მორევი დამდგარა, რომ, თუ ერთი გადმოხეთქა, მთელ საცხენისის სკოლას წაიღებს და ყვარელსაც თან გააყოლებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავიდეთ, წავიდეთ! —უპასუხა რამდენმამე ხმამ.

— დიახ, კი წახვალთ, თუ ზედამხედველმა გაგიშვათ,— სთქვა უკმაყოფილო კილოთი ნიკომ:—იმ დღეს აქ ახლო ტყის პირს მაყვალზედაც არ დაგვითხოვა: ფეხსაცმელებს და ტანისამოსს დაიგლეჯავთო.

— ეჰ, რა ბედნიერნი არიან ის ჩვენი ამხანაგები, რომელთაც მშობლები ჰყავთ,—სთქვა ამოოხვრით მათში ყველაზე უფროსმა ვალიკომ:—ახლა ისინი თავ-თავიანთ სახლში თავისუფლად დანავარდობენ, ჩვენ-კი აქ ტუსაღებივითა ვართ დამწყვდეულნი და კვირაობითაც-კი არსად გვიშვებენ [1]). მოდი ფლორ ვლადიმირის ძე მივგზავნოთ ზედამხედველთან შუამავლად, თორემ ვიცი ხვალაც არ დაგვითხოვს.

— აგერ, მოდის ჩვენი „მეცნიერიც“,—სთქვა ისევ გიგამ და ხელი გაიშვირა პირ-ხმელ და შავგვრემან ბავშვისკენ, რომელიც რაღაც ეშმაკურის ღიმილით ამხანაგებს უახლოვდებოდა.

მოწაფეები მას მეტ-სახელად მეცნიერს ეძახდნენ, რადგან ყველაზე უკეთესად სწავლობდა და ბუნების მეტყველების მასწავლებელს ფლორ ვლადიმირის ძეს ცდების მოხდენის დროს ყოველთვის ხელს ახმარებდა.

— რა ამბავია, რაზედა გაქვთ თათბირი?—შორიდანვე შეეკითხა ტიტო, რა შენიშნა, რომ ამხანაგები მასზე ლაპარაკობენ.

— ფეხი გამოაჩქარე: მოსალაპარაკებელი საქმე გვაქვს,— დაუძახეს მათ.

— აა, საბჭოს ვახლავარ, საბჭოს!—სთქვა მოსულმა ტიტომ და თან მასხარობით ისე ზრდილობიანად მოუხადა მათ ქუდი, როგორც იცოდა მასწავლებელმა სერგეი ვასილის ძემ, რომელიც ყოველთვის იგვიანებდა პედაგოგიურ საბჭოზე და

---

[1]) უპატრონო პანსიონერები ზაფხულშიაც საცხენისის სკოლაში რჩებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდილობიანი მისალმებით ცდილობდა ხოლმე დანაშაულის გამოსყიდვას.

ტიტოს ქუდის მოხდაზე მოწაფეებმა შექმნეს საშინელი ყვირილი და „ვაი-ვაის“ ძახილით აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ტიტო-კი ერთს ადგილას იდგა და ამხანაგების სიმხდალეზე გულიანად ხარხარებდა.

უცნაურ და საშიშარ სანახაობას წარმოადგენდა ამ დროს იგი: მას თავზე გორგალივით დახვეული გველი ედვა, რომელსაც ბოლო დაბლა ჩამოჰკიდებოდა, თავი კი მაღლა აეწია და სირაქლემასავით აქეთ-იქით ატრიალებდა.

— რას გარბიხართ, თქვე სულელებო?—დაუძახა მან მიმოფანტულს ამხანაგებს,—მე თავი-კი არა მაქვს სასიკვდილოდ გადადებული, რომ შხამიანი გველი დავისვა თავზე! წელან თივას რომ ვიღებდით, ერთ ბულულის ქვეშ ეს გველხოკერა დამხვდა, დავიჭირე და ქუდის ქვეშ შევისვი.

ამ სიტყვებთან ტიტომ ფრთხილად ხელი მოსჭიდა მას და თავიდან ჩამოიყვანა; შემდეგ განაგრძო:

— აკი აგვიხსნა ფლორ ვლადიმირის ძემ, რა განსხვავებაა გველსა და გველხოკერას შუა. აი, ამას თავი მომრგვალო აქვს და კისერზე მოყვითალო ხალები აყრია; შხამიან გველს კი თავი ყოველთვის სამკუთხედს მიუგავს, ყელი გაწვრილებული აქვს და ზურგზე მიხვეულ-მოხვეული ზოლი მისდევს.

რამდენიმე მოწაფე ცნობის-მოყვარეობამ დასძლია და ტიტოსთან მივიდა გველხოკერას ახლო გასაშინჯად; ზოგნი კი განზე დადგნენ და იქიდან უმზერდნენ.

ყველაზე მოშორებით იდგა ვალიკო, რომელიც კბილების ღრჭენით გულზე ხელს იცემდა და ტიტოს ემუქრებოდა.

— დამაცა, მეცნიერო, მაშ მე ბიჭი არ ვიყო, თუ შენი ჯავრი არ ამოვიყარო!

ვალიკო ამხანაგებში ყველაზე დიდი და ღონიერი იყო. კვირაცხოვლობას ვეებერთელა საქორწილო ბიჭები დალახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანსიონში ხომ მას გამკლავებას ვერავინ გაუბედავდა; მაგრამ ქვეწარმავალისა ძალიან ეშინოდა და, არამც თუ გველის, ხვლიკის დანახვაც კი ფერს უკრთობდა და ცახცახსა ჰგვრიდა.

ეს მისმა ამხანაგებმა იცოდნენ და ყველანი დასცინოდნენ. ამიტომ მან იფიქრა, რომ ტიტოს მასხარობა განგებ მის შესაშინებლად იყო მოგონილი და ბრაზმორეული სამაგიეროს გადახდას დაემუქრა.

შემთხვევაც მალე ეძლეოდა. გადასწყვიტა: ხვალ, თუ ზედამხედველმა მოწაფეები დურუჯის სათავეში გაუშვა, ცალკე მოიხელოს ტიტო და ცხვირ-პირი ამოანაყოს.

II

მეორე დღეს ფლორ ვლადიმირის ძის შუამავლობით ზედამხედველმა მოწაფეები მაყვალზე დაითხოვა. დურუჯის სათავეში წასვლაზე კი ცივი უარი გამოაცხადა, რადგან ის კარგა მოშორებით იყო და შეიძლებოდა ბევრ მათგანს იქამდის ვერც-კი ევლო.

ტიტო გრძნობდა ვალიკოს მხრით საფრთხეს და ამხანაგებს არა შორდებოდა. ვალიკო კი განგებ სულ განჯე დადიოდა და უთვალთვალებდა მას.

ბავშვებს მაყვალი ბლომად დახვდათ. სიმძიმისაგან თავდახრილ კონუსისებურ მაყვლის კუნწულებს კვარცხლბეკად გიშერივით ჩაშავებული მწიფე მაყვალი შემომწკრივოდა, რომლის ზემოთაც რამდენიმე რიგი ლალის ფრად გაწითლებული მარცვლები აკინძულიყო; შემდეგ მოსდევდა წყება ზურმუხტის თვლებისა, ბოლოს-კი ნაზი ყვავილების თეთრი გვირგვინი ამ უცნაურ კონუსს სურნელებას აკმევდა.

ყმაწვილები კავებით იწვდიდნენ მაყვლის კუნწულებს, მათში უფრო ლამაზსა და დიდრონს ტოტიანად სჭრიდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებზე-კი მხოლოდ მწიფე მაყვალს კრეფდნენ; ზოგს ხეს ადნენ და ზოგსაც კალათაში ჰყრიდნენ, რომ ფლორ ვლადიმირის ძისათვის სამურაბედ მიეტანათ და მით მადლობა გადაეხადათ მათზე მზრუნველობისათვის.

ბავშვებს უცებ არა—ადამიანური შესაზარი ბღავილი შემოესმათ. ისინი შეკრთნენ და გაშტერდნენ: არ იცოდნენ, გამოქცეულიყვნენ სოლოსკენ, თუ გაეგოთ მიზეზი ამ უცნაური ბღავილისა.

ყველაზე უწინ ტიტო გამოერკვა.

— ვალიკო იქნება,—სთქვა მან:—ალბად ჩვენი შეშინება უნდა!

— ვერ შეგვაშინებ, ვერა!—დაუძახეს ამხანაგებმა და მიაშურეს იქით, საიდანაც ხმა ისმოდა.

მაყვლის ერთ ბუჩქთან სახე-დაღრეჯილი და თვალებგადმოკარკლული ვალიკო იდგა, ხელებს უმწეოდ ასავსავებდა და რაღაცას ლუღლუღებდა. წელანდელი ღრიალის მაგიერ ახლა ის ყელში ძლივს-ღა ხრიალებდა და ხელების ქნევით ამხანაგებს საშველად იწვევდა.

— უი, გველი შემოჰხვევია ვალიკოს ფეხზე, გველი!—დაიყვირა ერთმა ბავშვმა.

ტიტო მივიდა ახლო და გაარჩია, რომ ვალიკოს, ალბად უცაბედად, ფეხი დაუდგამს ბოლოზე ვეებერთელა შხამიან გველისთვის, რომელიც მას წაღის ყელზე შემოხვევია და ნესტარ-გამოწვდილი და პირ-გათათხული საკბენად სწვდება.

— ნუ გეშინიან, ვალიკო! მაგრად დააჭირე გველს ფეხი, რომ წაღის ყელზე მაღლა არ ამოგწვდეს და არ დაგშხამოს; სხვა მე ვიცი,—სთქვა ტიტომ და მოიმარჯვა თხილის კავი გველის დასაკრავად, მაგრამ უცებ გაჩერდა და ჩაფიქრდა: შეიძლება ჯოხი გველისთვის აეცდინა, რადგან იგი საზიზღრად იხლაკნებოდა და თავს ერთ ადგილას არ აყენებდა, და მის მაგიერ ამხანაგისთვის გაერტყა წვივში. მაშინ ხომ ის სიმწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით ფეხს აუშვებდა და გააფთრებული გველი რომელსაც-
განს ეძგერებოდა!

დიდი ხანი არ უფიქრია; მალე რაღაც საიმედო აზრმა სახე გაუბრწყინა: თხილის კავი მუხლზე მოიდო და ფრთხილად მოსწია, ჯოხი შუაზე გადატყდა ⁄ აქეთ-იქით ბრწკალებიანი ნახეჩები აიყარა. ტიტომ იდროვა და სწრაფად ჯოხის ნახეჩებს შუა ამოაყოფინა გველს თავი.

— აუშვი ფეხი,—უთხრა მან ამხანაგს:—ფიქრი ნუ გაქვს, ახლა ჩემ ხელთ არის!

შიშისაგან აცახცახებულმა ვალიკომ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და გულწასული მიწაზე გაიშხლართა.

—არიქა, წყალი, წყალი!—დაიწყეს ყვირილი ბავშვებმა.

იქვე ახლო ხევში პატარა რუ ჩამოდიოდა, მაგრამ ჭურჭელი არაფერი ჰქონდათ, რომ ამოეტანათ და დაბნეულნი ერთ ადგილას იდგნენ.

— რა პირი დაგიღიათ, თქვე ბენტერებო!—შეუყვირა ტიტომ ამხანაგებს:—ხომ ხედავთ, მე გველი მიჭირავს და ჯოხს ხელს ვერ გავუშვებ?! ასწიეთ ვალიკო, მიიყვანეთ წყლის პირას და სახეზე წყალი შეასხით, გულიც გაუხსენით...

ბავშვები ეცნენ გულწასულ ამხანაგს და თვალის დახამხამებაზე რუს ნაპირას მიიყვანეს.

ცივმა წყალმა ვალიკო მალე გონს მოიყვანა. იგი წამოჯდა და, როცა კარგად დამშვიდდა, ამხანაგებთან ერთად წავიდა სკოლაში. ტიტო მათ უკან მისდევდა. ხელში მას ჯოხის ნახეჩებში მომწყვდეული გველი ეჭირა, რომელიც ჩამოკიდებულ მთელ ტანს საზარელ რკალებად ხლაკნიდა.

ფლორ ვლადიმირისძემ რომ გაიგო ბავშვების თავგადასავალი, ისარგებლა შემთხვევით: ფიზიკურ კაბინეთიდან გამოიტანა ერთი ცარიელი მჭვირვალე ჭიქა, ძაბრ-გაკეთებული საცობი და ერთიც სპირტით სავსე ჭიქა. ტიტოს გველი გამოართვა, თავი ცარიელ ჭიქაში ჩააყოფინა და ჯოხი მოა-

შორა. გველი თავად შესრიალდა შიგ. მასწავლებელმა ჭიქას საცობი დაურჭო და შიგ სპირტი ჩაასხა. შემდეგ მოიტანა ნა გუშინდელი გველხოკერა, რომელიც ამგვარადვე ჰქონდა ჭიქაში დასპირტული და აუხსნა ბავშვებს, რა განსხვავებაა შხამიან გველსა და გველხოკერას შუა, რომელიც ყოვლად უმწეო და უვნებელი ცხოველია და ადამიანს მხოლოდ თავის უმეცრების გამო ეშინიან მისი.

III

დურუჯის სათავეში კავკასიონის მთების რამდენსამე ქედს, თითქოს რაღაცაზე სათათბიროდ, ერთად მოუყრია თავი, მაგრამ ყველას ენა მუცელში ჩავარდნია და დადუმებულნი ერთმანეთს მისჩერებიან.

მათ შუა მიიკლაკნება ჯერ სულ პატარა, უსუსური დურუჯი, რომელსაც კურდღლის წაქცევაც კი არ შეუძლია. მის გვერდით ორ ქედს ერთმანეთისთვის მიუბჯენია სალი კლდიანი თავები, თითქოს შეთქმულან—დურუჯს თავიანთ კალთებიდან ჩამონადენი წვიმისა და თოვლის წყალი არ დაანებონ, რომ დაბლა ღელეში კრიალა ტბად დამდგარი ტყით შემოსილმა ქედებმა სარკედ იხმარონ და იკეკლუცონ.

ზაფხულში თუ მზისაგან გავარვარებულ კლდეებს უცებ წვიმამ დაასხა, მათი ზედაპირი იპატრება, ნამსხვრევებად დაბლა ყელში ცვივა და ქედების კალთებიდან ჩამონადენ წყალს გამოსავალ გზას ულობავს.

ამგვარად ჩნდება პატარა ტბა, რომელიც ყოველ წლივ იზრდება, რადგან მთების კალთებს ყოველთვის ჩამოსდის ნაწვიმი წყალი და ნაშალის ზღუდესაც თანდათან ახალი ნაშალი ემატება და მაღლდება.

ტბაში ჩანადენი წყლის რაოდენობა ყოველ წელს დაახლოვებით ერთი და იგივეა; კლდეების ნაშალი კი თანდათან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლებულობს, რადგან იგი, რამდენიც მეტი გროვდება, გამოსავალ ყელში და მაღლა იწევს, იმდენად მეტ კლდის ზედაპირს ჰფარავს, რისგამო მზე და წვიმა თავის გამანადგურებელ გავლენას კლდეების მცირე ზედაპირზე ახდენს.

აქედან აშკარაა, ერთხელაც იქნება ტბა გადალახავს ამ ნაშალის ზღუდეს, მალე დახრამავს მას და გამოსავალ გზას მთლად გაინთავისუფლებს. ტბის მოზღვავებული წყალი შეერევა დურუჯს და, რა გავა ვაკეზე, გაიშლება დიდ მანძილზე და რაც გზაზე შეხვდება, გააოხრებს, გაანადგურებს, მიანგრ-მოანგრევს.

ამისთანა წყალდიდობა ყოველ 8—10 წელიწადში იცის დურუჯმა და აოხრებს მის ნაპირებზე მდებარე მინდორ—ვენახებს; მაგრამ 1906 წელს იგი ღვთის რისხვად მოევლინა არა მარტო ყვარელელების ჭირნახულს, არამედ მათ სახლ-კარსა და ცოლ-შვილსაც.

ხსენებულ წლის 17 აგვისტო შავბნელი გათენდა ყვარელელებისათვის. შავბნელი, როგორც თავისი შედეგებით, ისე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

დილის ექვს საათზე, როცა გლეხები უკვე გასულები იყვნენ სამუშაოდ, უცბად ისე ჩამობნელდა, რომ ღრუბლიანი უმთვარო ღამე მასთან შედარებით ნათელად ჩაითვლებოდა. ხშირი ნისლი ჩამოაწვა ყვარლის მთებს და მთლად დურუჯის ხეობას. არამც თუ გარედ, შინ სანათის შუქზედაც ოჯახის წევრები ერთმანეთს რიგიანად ვერ არჩევდნენ.

ამ უცნაურ ფარდის იქით ბუნება ადამიანს შემაძრწუნებელს დრამას უმზადებდა...

რვა საათზე ნისლმა ნელ-ნელა გადაყრა იწყო. ჯერ ყრუდ, მერე-კი გარკვევით გაისმა ისეთი საშინელი გრგვინვა, თითქოს ცად აყუდებულნი კავკასიონის მთები ერთმანეთს ეხეთქებიან და ინგრევიანო. დურუჯმაც, რომელიც საცხენისის სკოლას დასავლეთით ჩამოუდის და მხოლოდ წყალდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობის დროს მისი მცირე ნაწილი გადავარდება ხოლმე სკოლის აღმოსავლეთისაკენ მდებარე ხევში, ახლა ორივე მხრით შექმნა ღრიალი.

ყველანი გარედ გამოცვივდნენ და ფერდაკარგულნი გულის ფანცქალით გაიყურებოდნენ ზევით. ჯერ კიდევ საშიში არაფერი იყო, რადგან წინადაც ბევრჯელ ადიდებულა დურუჯი, ორივე მხარეს გადავარდნილა, რამდენიმე საათით და ზოგჯერ მთელი დღითაც საცხენისის სკოლა შუა ზღვაში მდებარე კუნძულს დამსგავსებია, მაგრამ თვით სკოლას და მთლად მის ეზოს-კი არაფერი ვნებია.

სკოლის ეზოზე ჩამომდინარი საწისქვილო არხი ისე გადიდდა, რომ ნაპირებზე გადმოვიდა და ეზოს დაბალი ადგილები მთლად წყლით დაჰფარა.

გალავნის ზევით, ასე ას ნაბიჯზე, გამოჩნდა კუპრსავით შავად მჩქეფარი უზარმაზარი შადრევანი, რომელიც 7—8 საჟენის სიმაღლეზე სცემდა და რომლის ხმა ისე ირჩეოდა საერთო გრგვინვაში, როგორც ჭექა-ქუხილის დროს ძლიერი ქარის შხუილი.

ახლა-კი ყველა შეშინდა და თავის გადასარჩენად ზოგმა მაღლობ ადგილს მიაშურა, ზოგმა ხეს და ზოგმა შენობების სხვენებს.

მოწაფეები ყველანი შუა ეზოში შეგროვილიყვნენ, მხოლოდ ვალიკოს მოესწრო გასვლა მაღლობზე ვერხვის ძირას და უძახდა თავისთან ამხანაგებს, მაგრამ ისინი წყალში გასვლას ვერ ბედავდნენ.

ამ დროს ზევიდან მოწოლილმა წყალმა გალავანი შემოანგრია და შემოიჭრა ეზოში. ბავშვების მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა: ტალღა პირდაპირ იმათკენ მოექანებოდა. ვალიკომ სწრაფად შესტოპა წყალში, გავიდა იმათ მხარეს, დაავლო ტიტოს ხელი, ჩალასავით წამოიკიდა ზურგზე და გატრიალდა უკან. სხვები ჯერ-კი შეყოყმანდნენ, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ რა დაინახეს, რომ ჯერ წყალი პატარაა და ვალიკოს ბარძაყებამდის ძლივსა სწვდება, ერთმანეთს ხელი ხელს ჩაჰიდეს და დაედევნენ მას უკან.

აბობოქრებული ტალღა დაეჯახა ერთ შენობას, რომელშიაც პანსიონისათვის სანოვაგის საწყობი იყო მოთავსებული...

შენობის გრიალი, წყლის ღრიალი, ადამიანთა გმინვა, კივილი, კვნესა, ტირილი ერთმანეთში აირია და ჯოჯოხეთურ კონცერტად იქცა...

IV

საცხენისის სკოლის გალავნის ქვემოდ მოსახლეობს ესრედ წოდებული გარეთუბანი, რომელსაც თხუთმეტიოდე კომლი შეადგენს. სკოლის ეზოდან გავარდნილი წყალი მოედო ამ უბანს, და რადგან აქ შენობები უფრო პატარა და მსუბუქი იყო, ულმობელმა სტიქიონმა აქ უფრო გამოიჩინა თავისი გამანადგურებელი ძალა.

ხუციანთ დაროს, რომლის სახლი წყალმა პირველ მიწოლაზედვე შეანგრია, დაუვლია თავის ორ ბავშვისათვის ხელი და გიჟსავით თავ-მოხდილი და თმა-გაწეწილი მირბის ქვევით. მირბის და მისდევს უკან აყეფებული დურუჯი. ატყობს იგი, რომ ღონე ელევა; აგერ საცაა დაეჯახება ტალღა და გადაყლაპავს მას თავიან—შვილებიანად.

მარჯვნივ ვენახში ამაღლებულ ბორცვზე სდგას დიდი ლელვი. მის ქვეშ წყალი არა ჩანს. შეიძლება არც მიუდგეს, რადგან ზემოდან პანსიონის დიდი და მკვიდრი სასადილო აფარია; მაგრამ როგორ გადავიდეს მაღალ ყორეზე?

— აქეთ ხსნა არ არის, იქით-კი შეიძლება იყოს, ღმერთო, შენით!—გაივლო ფიქრად დაროს და გადისროლა ყორეს იქით ჯერ მოზდილი ბავშვი, მერე 10—11 თვის ჩჩვილი, შემდეგ ელვის სისწრაფით თვითონაც იქით გადახტა.

ერთ წამს სიხარულის სხივმა გადაჰკრა მას სახეზე და ტუჩებზე მკრთალ ღიმილად გამოენასკვა: მისი შვილები უვნებლად დაცემულიყვნენ სასუქის გროვაზე, რომელიც პატრონს ვენახისთვის შესაყრელად ყორის ძირას დაეყარა. დაავლო მან შვილებს ხელი, მიირბინა ლელვთან და სწრაფად ზედ მოექცა.

აქედან იგი შეიქმნა უნებლიეთი მოწამე გარეთუბნის განადგურებისა. აგერ მეღვინიანთ ფიცრული სახლი, საიდანაც პატრონისაგან მიტოვებული ანთებული სანათის შუქი გამოდის, წყალს ხომალდივით მოუტივტივებია და ქვევით მიაქანებს, შემდეგ ის მის ქვემოდ მდგარ ბერიანთ ქვითკირის სახლზე შეასკუპა და ორ-სართულიანად აქცია, მაგრამ მალე მასაც ძირი გამოუთხარა და ორივე სახლი თავის წიაღში შთანთქა.

იქ დედას ბავშვის აკვნიდან აყენება ველარ მოუსწვრია და აკვან-წამოკიდებული გარბის... დაუნდობელი დურუჯი სწვდა მას, რამდენჯერმე შეატრიალა და ისიც თავის გაუმაძღარ მუცელში გაგზავნა; ბავშვი კი თითქოს შეიბრალა და აკვნიანად გზის პირას მდგარ კაკლის ტოტზე შეჰკიდა.

წყალი თანდათან მაღლა იწევს და მეტ სივრცეს ეფინება. ვენახის ყორესაც მიაწვა იგი და ზედ გადავარდა. დარო კბილებ-შეკრული უყურებს თავის აღსასრულის მოახლოებას. ლელვის ძირამდის სულ რამდენიმე ნაბიჯი-ღაა დარჩენილი; ცოტაც, და წამოაპირქვავებს მას.

— ახ, ნეტავი ხმის გამცემი მაინც იყოს ვინმე,—ფიქრობს დარო: —იქნება გული, გადმოვარდნას რომ ლამობს, ცოტა დამიმშვიდდეს!

ამ დროს ხედავს იგი, რომ ვილაცა წელამდის წყალში ბარბაცით ლელვისკენ მიიწევს. მიაღწია კიდეც ნაპირს, მაგრამ, ქვა დაეჯახა თუ ლონემ უმტყუნა, წატორტმანდა, თავი ველარ შეიკავა და წაიქცა. ზურგზე რაღაცა ჰკიდია. უბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დური! თავისზე უკეთესს რაღას გადაარჩენდა, რომ რაღაც ბარგის გულისთვის თავი დაიღუპა? ნაპირში წყალი თხელია; მისი წაქცევა მოახერხა, მაგრამ წაღების ძალა-კი აღარ შესწევს.

— შეიძლება გადარჩეს! —ფიქრობს დარო:—აგერ, აგერ, ტოკავს, ცოცხალია ჯერ კიდევ! ზურგზე რომ ჰკიდია, ისიც ტოკავს! ჰოო, ეს ბარგი-კი არა, ადამიანი ჰკიდია ზურგზე!

გარკვევით არჩევს ორ თავს, ხელებს, რომელთაც ღონე აღარ შესწევთ, რომ ტალახში ჩაფლული ტანი გაინთავისუფლონ.

ცოტაც რომ მოემატოს წყალს, ხომ თავებზედაც გადაუვლის,—ფიქრობს დარო:—უნდა როგორმე უშველო უბედურთ! მაგრამ ბავშვებს რაღა ვუყო? ჰო, მართლა, ხსნა შეიძლება!

სწრაფად მოიხსნა მან წინსაფარი და 3—4 წლის უფროსი ვაჟი, რომელიც ლელვის გამოწვდილ ტოტზე იყო ჩამომჯდარი, ხეს ზედ მიაკრა; შემდეგ გაიძრო კაბა, შიგ ძუძუთა ბავშვი შეახვია და ხეზე ჩამოჰკიდა; მერე ეცა მინაბულთ და დაუწყო ერთ მათგანს ნაპირისკენ წევა.

— არა, ჯერ მე ნუ მეწევი,—მოესმა داროს:—ტიტო მომხსენ ზურგიდან და მერე იქნება მე თავად შევძლო ადგომა!

ჩურჩხელებსავით ამოვლებულნი, დათეთქვილნი ვალიკო და ტიტო داროს დახმარებით, როგორც იყო, ტალახიდან გამოფოფხდნენ და ისინიც ლელვზე ავიდნენ.

შუადღემდის წყალი ჩადგა, მაგრამ მის მიერ არშინის სიმაღლეზე დატოვებული ტალახი მიმოსვლას შეუძლებლად ხდიდა.

აპრელდა ცაზე ღრუბელი და მზემ ანაოხრებულ მხარეს სითბო ბლომად უთავაზა; თავად კი ცოდვით არ უნდოდა მისი მზერა და პირს თხელი ღრუბლებით იბურავდა.

მხოლოდ მეორე დღეს შეიქმნა შესაძლებელი დამხრჩვალთა ამოყვანა და გაბნეულ ქონების მოკრეფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურუჯის უმთავრესი ტალღა ზედ შუა ყვარელზე გაჰ-ჭრა და ასზე მეტი მცხოვრები იმსხვერპლა; დანგრეულ სახლს, დამხრჩვალ საქონელს და გატაცებულ ქონებას ხომ თვლა არა ჰქონდა.

საცხენისის სკოლის ცხრა მოწაფეში მხოლოდ ვალიკო და ტიტო გადარჩა, დანარჩენთ კი პირქუშა დურუჯმა უდროოდ მოუსპო ნორჩი სიცოცხლე.

ვისაც კი მოხდება ყვარელში პირველად მისვლა, გული არ მოუთმენს, რომ არა ნახოს საცხენისის სკოლის ეკლესის წინ შვიდთა ყრმათა საფლავი და სკოლის გალავნის ზემოთ დურუჯის მიერ ჩამოტანილი უზარმაზარი ლოდი, რომლის სიგანე საჟენ-ნახევარს აღწევს და სიგრძე-სიმაღლე ორ საჟენსაც აღემატება. მასზე შეჯახებული ტალღა იყო, რომ უშველებელ სიმაღლეზე შავად მჩქეფარე შენიშნეს მოწაფეებმა თავიანთ დაღუპვის წინა წუთებში.

ახლა მხოლოდ მოწაფეთა საძმო საფლავი და ეს ქვა-ღა დარჩენილა დურუჯის მზაკვრობის უტყვ მოწმად; ათის წლის წინად გაპარტახებული მიდამო კი ადამიანის მხნეობის წყალობით ისევ თვალ-წარმტაც წალკოტად გადაქცეულა.

დ. ძეძამიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლის ფიფქის თავგადასავალი

(ძღვნად ცირა და მაყვალა გოგნიაშვილებს).

ზიდან შინისკენ მოგზაურობა ღამე მოგვიხდა. ღამე მოვედი ჩემი უთვალავი ამხანაგებით და დავბინავდით, არ ვიცოდი სად; ამიტომაც დილას მოუთმენლად ველოდი, რომ გამეგო: რა ქვეყანაა, სადაც ჩვენ ციდან გადმოვსახლდით.

გათენდა. ქვეყანას კიდევ ნისლი ჰფარავდა. ბუნებას რაღაც სევდის ელფერი ედო. მეც გული დამეღრუბლა. თითქოს არ მომწონდა ჩემი ახალი ქვეყანა. არა, მე იქ მერჩივნა, ცაში! იქ, ცის უსაზღვრო სივრცეში მე ჩემის ამხანაგებით მეტად უზრუნველად ვცხოვრობდით. მუდამ ნავარდში ვატარებდით დროს, გიჟმაჟად დავდევდით ერთი მეორეს. ხანდახან ცელქი ნიავიც აგვყვებოდა, ერთს ღონივრად დაგვიქროლებდა და მთლად ერთმანეთში აგვრევდა, თუ ერთი მხრიდან დაგვქროლებდა, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით: აბა ვინ ვის გაუსწრობდა!

არ ვიცი—ეს კი როგორ მოხდა: ერთ საღამოს სრული მყუდროება იყო ცაში. ჰაერი არ იძვროდა, ჩვენ ერთბაშად ძირ-ძირ ვიწყეთ ჩამოსვლა,—შეუსვენებლივ მოვდიოდით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვდიოდით ძირს. კარგა ხნის მოგზაურობის შემდეგ ჩვენ-დან სხვა-და-სხვა ხმაურობა მოგვესმა; ვგრძნობდით, რომ რაღაც ქვეყანას უახლოვდებოდით.

გათენებისას უკვე დაბინავებული ვიყავით, არ ვიცოდით კი სად, მხოლოდ ჩვენ ახალ ბინაზე ბლომად დაგვიხვდნენ ჩვენი თანამემამულენი, რომელთაც სიამოვნებით მიგვიღეს და მზრუნველობით მოგვეპყრნენ, როგორც ახლად-მოსულებს და ამ ქვეყნის ცხოვრების უცნობებს. ისინი ჩვენზე ერთი კვირით ადრე მოსულიყვნენ.

— რა ამბავია ჩვენ სამშობლოში?— შემოგვეკითხნენ ისინი.

მე მათი ხმა ველარ ვიცანი, ჩვენ ხმას არ ჰგავდა: შიგ რაღაც სევდა—ნაღველი, ჩემთვის უცნობი კილო ჟღერდა.

— არა, მე არ მომწონს ეს სევდის მომგვრელი ქვეყანა. მე იქ მერჩივნა, იქ, ზეცაში, სადაც ცხოვრება ისეთი უზრუნველია!

ამ ფიქრში ვიყავ გართული, რომ მიწიდან მაღლა ნელ-ნელა აიკრიფა ნისლი და პატარა ხანს უკან ჩვენ სამშობლო ცამდის ატყორცნილ ბუმბერაზ მთის უკან მედიდურად ამოცურდა ბრწყინვალე მზე და გააკაშკაშა მთლად თეთრ სუდარაში გახვეული ქვეყანა.

აბა, ჩვენ ხომ ცალ-ცალკე რა ვართ: სულ მცირე ნაპერწკლის ტოლანი; მაგრამ შეგვიძლია სამყაროს გადავწვდეთ და მთელი ქვეყანა ჩვენგან შეკერილ თეთრ სუდარაში გავხვიოთ. ცალ-ცალკე არაფერი ვართ, მაგრამ ერთად კი ჩვენც ვიხსენებით ბუნების სხვა-და-სხვა სტიქიურ ძალებთან ერთად. ჩვენი ძალა ერთობაშია!..

— დიახ, იმას გიამბობდით: მზემ ქვეყანა გააკაშკაშა და ჩვენ ათასფრად აგვაბჟყვრიალა. შორიდან სწორედ ძვირფას ქვებს ვგვანდით: კაცს თვალს მოსჭრიდა ჩვენი შუქი. ეს კი მომეწონა! ჩვენ იქ, ცაში ასე არ ვბჟყვრიალებდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ კარგად მოზრდილ სოფელში დავბინავებულიყავი. მე ერთ ჩალით დახურულ ქოხზე მომხდომოდა ბინის დადება. ქოხის პირდაპირ მდიდრის ორსართულიანი შენობა იყო ამართული. სხვა ჩვენი თანამგზავრნი იმის სახურავზე წამოჭიმულიყვნენ და მედიდურად დაგვცქეროდნენ თავს. მე ცოტა არ იყოს შემშურდა იმათი ბედი.

— რა კარგ ალაგას დაბინავებულან: ყველას მაღლიდან დაჰყურებენ, ყველას ხედავენ; დღე რომ მოვსულიყავ, მეც ხომ იქ მივიდოდი,—წყენით წამოვილაპარაკე მე.

— მიხვიდოდი, და მალეც მოგესპობოდა სიცოცხლე,— მომიგო ჩემზე წინ მოსულმა ფიფქმა.—ჩემ შემდეგ იქ ორი წყება კიდევ მოვიდა, მაგრამ ახლა იქ მათგანი აღარავინ არის. მალე შენთან მოსულებიც გაჰქრებიან. იქ ჩვენი ძმა დიდხანს ვერა სძლებს.

— ვერა სძლებს? რატომ? გაკვირვებით დავეკითხე მე.

— იმიტომ, რომ იქ მდიდარი ცხოვრობს. ის ძალიან ათბობს ოთახებს. შეშა ბევრი აქვს: რად შეიცივებს! ოთახებიდან სითბო მაღლა მიდის, სახურავს ხვდება. ჩვენ ხომ სითბოს ვერ უძლებთ! ისინი სითბომ წყლად აქცია. მე აქედან უყურებდი: წყალი დიდხანს ჩამოდიოდა ძირს წკრიალით და ვინ იცის ახლა სად, რომელ ტალახს შეუერთდა!

— წყლად იქცა, ტალახს შეუერთდა.—აღშფოთებით წამოვიძახე მე.—ვაიმე, ვაიმე, აი, სად მოვსულვართ! ნუ თუ აქ გველის ჩვენ სიკვდილი?

— სიკვდილი აქ უძლეველი ძალაა. სიკვდილს აქ ვერავინ გადურჩება; მხოლოდ ვინ ადრე, ვინ გვიან გახდება მისი მსხვერპლი.

— ოოოჰ!—წამოვიგმინე მე!—მაშ მეც მოვკვდები? რათა? რისთვის? რა უსამართლობაა?! მე ხომ ჯერ არც კი მიცოხლია! სიცოცხლე მწყურია. ვაიმე, ვაიმე!—მოვრთე ღრიალი.

— სუ, რა გაყვირებს?—შემომიტიეს ძირიდან:—რა მოგივიდა?—ჯერ ხომ არ კვდები? იქნებ იქამდის იცოცხლო, რომ კიდეც მოგწყინდეს და შენვე ნატრობდე სიკვდილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიცოცხლე მომწყინდეს, სიკვდილს ვნატრობდე? რაებს ამბობთ? ეგ როგორ შეიძლება?—გავიკვირვე მე.

— ძალიან ადვილად! შენ მხოლოდ გახსოვდეს, რომ ცაში აღარ ხარ: მიწაზე ხარ, სადაც სიცოცხლე ისეთი ტკბილი არ არის, როგორც შენ გგონია.

— ვისთვისაც მწარეა, სიკვდილი დეე იმან ინატროს; მე კი მინდა, რომ დიდხანს ვიცოცხლო: სიცოცხლე მწყურია.

— გინდა სიცოცხლე და იცოცხლებ, ნუ გეშინია! ჩვენ ვიცოცხლებთ, სანამ მზის სხივებს საკმაო ძალა მიეცემა ჩვენ დასაძლევად. ჩვენი სიკვდილი—სითბოა.

— სითბოა? და მერე შენ არა სთქვი წელან, რომ ჩვენ ცეცხლის სიცხეს ვერ უძლებთ?

— მერე, სად არის აქ ცეცხლი? შენ გავიწყდება, რომ ჩვენ ღარიბის ქოხის სახურავზე გვაქვს ბინა, და ამ ქოხში შეიძლება მთელი ზამთარი ცეცხლი ვერ აინთოს.

— რატომ? შიგ არავინ ცხოვრობს?

— როგორ არა. ვერ დაინახე, დილას რომ იქიდან მოხუცი კუზიანი დედაკაცი გამოვიდა?

— ვერა. მოხუცი დედაკაცი?.. მერე რატომ ცეცხლს არ ანთებს. არა სცივა?—შევეკითხე მე.

— შენ, ძმობილო, ან ძალიან გულ-უბრყვილო, ან სულელი ვინმე ხარ,—გააბრტყელა სიტყვები ჩემთან მობაასემ.—როგორ თუ რატომ ცეცხლს არ ანთებს? იმიტომ, რომ შეშა არა აქვს. არა სცივა? მერე რომ სცივა, ის ღარიბია, ღარიბი. გესმის, რას ნიშნავს სიტყვა „ღარიბი“: იმას სცივა კიდეც, შიან კიდეც; ეს არავის არ უკვირს: ასეთია ამ ქვეყნის კანონები!..

საშინლად გამაკვირვა და დამაღონა ამ სიტყვებმა. არა, მე არ მომწონს ეს ჩვენი ქვეყანა: გული ჰგრძნობს, რომ აქ კარგი არა იქნება რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ლაპარაკში კარგა დრო გასულიყო. მზე ძალლა წამოწეულიყო. ხალხი გაშლილიყო: ყველა საქმეზე მიეშურებოდა. ვისაც კი რა ებადა, ყველა ზედ წამოეხვია. ეტყობოდა—ცივოდა. მზე ანათებდა ქვეყანას, მაგრამ ვერც კი ათბობდა.

მე ჩვენი ქოხის პატრონზე ფიქრში ვიყავი გართული. საწყალი ბებერი: იმასაც ხომ სცივა. ნეტავ სად არის ახლა მოკუნტული? იქნებ ტიტველიც არის, არც შეშა აქვს; მოკვდება საწყალი.

სამი ოთხი დღე გავიდა. მდიდრის სახლზე თოვლი სრულებით აღარ სჩანდა. ეზოებშიც აქა-იქ მიუდგომელ ადგილებში, ღობის ძირებში, საბძლებზე, საქათმეებზე თოვლი ისევ ისე სპეტაკად გამოიყურებოდა და მზის სხივებზე ათასფრად ლაპლაპებდა. ბევრ სახლებზე კი სულ ჩამოდნა და ეზოებსა და გზებზე ხომ სულ ტალახად გადაიქცა.

ქოხზე ჩვენ სრულებით უშიშრად ვგრძნობდით თავს. ოჰ, ძირს, ეზოში ან გზაზე რომ დავცემულიყავი, უწყალოდ გამსრესდა ადამიანის ან პირუტყვის ფეხი!..

ოჰ, მე ამის წარმოდგენაც კი თავზარს მცემს! თოვლის უმანკო ფიფქი, ცის შვილი, სპეტაკი, ვით მზის სხივი, და აგერ ის უცებ ფეხით გასრისეს, ტალახს შეუერთეს...

მთელი ორი დღე ხმა არ ამომიღია; გულდაწყვეტილი ვიცქირებოდი იქით-აქეთ. თოვლი სახლებზე ძალიან შეცოტავდა. მის მაგიერ სახლის სახურავიდან ახლა კამკამა წყალი ჩამოკრიალებდა და ეზოებში ტალახს უერთდებოდა.

ერთ მზიან დღეს მე ჩვეულებრივ სევდიანად ვიყავი; ჩემი ნაცნობიც სდუმდა. მზე ქვეყანას საამურად აკაშკაშებდა. დიდი და პატარა მზის სხივებს კარში გამოეფანტნა. ჩვენს ეზოში რაღაც მრგვალი, ძონძებში გახვეული ღობის ძირას იყო მიდებული. დავაცქერდი: ის ინძრეოდა. ჰო, ახლა კი გავარჩიე: ის ჩვენი ბებერი იყო. ისიც მზეს გამოეტყუებინა, მუუდროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისჯდომოდა და მზის სხივებით ითბობდა კონკებში გახვეულ გაყინულ სხეულს.

— ოჰ, როგორ მიხარია,—წამოვიძახე ხმა-მაღლა:—ახლა ისიც სხვებსავით გათბა. ღმერთო, განაძლიერე მზე, რადგან ის ყველას ერთნაირად ათბობს,—მდიდარსაც და ღარიბსაც. აგერ, აგერ, იშმუშნება საწყალი! ღმერთო, მიეც მეტი სითბო მზის სხივებს, რომ მოხუცს გაუთბონ გაყინული ძვლები!—გულმოდგინედ ვლოცულობდი მე.

— გამოუცდელი, გულუბრყვილო ვინმე მეგონე, და სულელი ყოფილხარ, საწყალო!—გამომელაპარაკა ჩემი ნაცნობი ფიფქი.

ჩვენ ვიცოცხლებთ, სანამ მზის სხივებს მიეცემა ძალა ჩვენ დასადნობად. ჩვენი სიკვდილი—სითბოა. შენ კი ნატრულობ: „ღმერთო, შენ მიეც მზის სხივებს მეტი ძალა, მეტი სითბოო“. ამით შენი თავისთვის სიკვდილს ნატრულობ.

— მე მზის სხივებს ბებრისთვის ვნატრულობდი: ის სიცივით მოკვდება. რა ვქნა, მებრალება,—ვიმართლე თავი.

— მერე შენი თავი კი არ გებრალება?

— მებრალება, ძალიანაც მებრალება, მაგრამ მაშ როგორ უნდა იყოს? იმას შეშა არა აქვს, ცეცხლს ვერ დაანთებს; მაშ მზის სხივებიც ნუ გაათბობენ? მოკვდება უეჭველია.

საღამომდის ხმა აღარ ამომიღია; ბებერს კი თვალს არ ვაშორებდი. ის გაუნძრევლად იწვა მყუდროზე, თითქოს სული აღარც კი უდგიაო.

საღამომ მოატანა. მზემ ნელ-ნელა აკრიფა თავისი სხივები და მთის იქით გადაეშვა. პატარა ხანს უკან ცაზე მისი ალაგი მთვარემ დაიჭირა. ის ამოვიდა და ამოიტანა თვისი სუსხი. ცივმა სიომ დაჰბერა ქვეყანას. ბუნება შეიშმუშნა: არ იამა მზის თბილი სხივების შემდეგ მთვარის უსიცოცხლო და გაყინული სხივები. კერძოდ ჩემზე კი მთვარის სხივები კარგად მოქმედებენ: სიცოცხლის ძალას მმატებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა ღამე უკვე გადასულიყო. მთვარეს კაშკაში გაჰქონდა. სოფელს ღრმა ძილი ეუფლა. დუმილი გამეფებულიყო ირგვლივ. რაღაც უხილავ ძალას შეეჩერებინა საერთო მაჯის ცემა.

ჩვენი ქოხის კარები ჭრიალით გაიღო. ეზოში რაღაც მძიმედ ამოძრავდა... ეზოს გასცდა... თვალთაგან მიეფარა.

— დახე, დახე, ბებრუცანა შეშის მოსაპარად წავიდა,— აჭახჭახდნენ ქოხის ფიცრები.

მალე ჩვენი ბებერი დაბრუნდა. ის ნელა-ნელა მოცოცავდა. არც-კი ეტყობოდა—ინძრეოდა, თუ ერთ ალაგას იდგა; ხელში წვრილი ღობის ნამტვრევები და ფიჩხის წკეპლები ეჭირა, ძლივს მიცოცდა კარებამდის, შეიტანა ქოხში ტვირთი და შეიხურა კარები.

ოჰ, მადლობა ღმერთს. ისიც ცეცხლს აინთებს, ცოტა სითბოს სული დადგება იმის ქოხშიაც; პატარა ხანს მაინც ააპრიალებს, ხელებს მაინც მოითბობს,—ვდუდუნებდი ჩემთვის და თან მეშინოდა არ გაეგო ჩემ ნაცნობ ფიფქს: ახლა მუდამ მეშინიან მე მისი დაცინვისა.

მთელი ღამე ვერ ვგრძნობდი თავს კარგად: უსიამოვნოდ რაღაც მივლიდა მთელ სხეულში და მასუსტებდა. ამას ჩიოდნენ სხვა ჩემი ამხანაგებიც და ვერ მიხვედრილიყვნენ მიზეზს. მე-კი ვიცოდი ჩვენი უქეიფობის მიზეზი, მაგრამ რა მათქმევინებდა!

მეორე დღეს მზემ კვლავ მოიტანა ქვეყნად სითბო და ყველა გამოაცოცხლა. ჩვენი ბებერიც მყუდროს მიუჯდა. ჩემს გარშემო ყველა ამხანაგები სისუსტეს შესჩიოდნენ ერთმანეთს. მეც ვერ ვიყავ კარგად, მაგრამ ხმა არ ამომიღია.

შუადღისას საიდანაც გაჩნდნენ ცაზე შავი, სქელი ღრუბლები; უცებ გაიზარდნენ; მთელ ცას გაეკრნენ, მზის სხივები დაფარეს,—ქვეყანა დაჩრდილეს. ჩრდილოეთიდან დაჰქროლა ცივმა ქარმა, ააკანკალა გატიტვლებული ხეები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყინა მზის სხივებით გამთბარი დედამიწის ზედაპირი. ზულმა ხალხმა სახლებს მიაშურა. ერთ წუთს სოფელი დაცარიელდა. ქარი თავისუფლად დათარეშობდა აღმა-დაღმა; შორს გაისმოდა მისი გულსაკლავი ქვითინი: ის მკვდარ ბუნებას უცრემლოდ დასტიროდა.

სისუსტემ გადამიარა; თავს ახლა კარგად ვგრძნობდი, მაგრამ გულზე კი რაღაც სევდა შემომაწვა: უცებ გულში დამებადა სიკვდილის შიში, და რამდენსაც არ ვცდილობდი როგორმე თავიდან მომეშორებინა, ის იმდენად ძლიერდებოდა და მთელი ჩემი არსება სიკვდილის შიშმა შთანთქა. მწყუროდა ვისთანმე ლაპარაკი, რომ გულიდან როგორმე შიში გამეფანტნა, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა, მაგრამ ვერ გამებედნა ჩემი ნაცნობისთვის ხმა გამეცა.

იყო დრო, როდესაც მე არ ვიყავ, ახლა ვარ, ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს ვგრძნობ, ვლაპარაკობ!... დადგება დრო: სადღაა თოვლის პატარა ფიფქი?! ის ველარაფერს გრძნობს! მისი კვალიც-კი წაიშალა ამ ქვეყნად. რათა? რისთვის!

ვინ არის, რა ძალაა, რომელიც ასე თავის სურვილზე, ჩემ დაუკითხავად განაგებს ჩემს „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხს?

შებინდებისას ცა მოიწმინდა. ქარმა გადაყარა ღრუბელი. მთვარემ კვლავ ჩამოფანტა დედამიწაზე თავისი ცივი სხივები. შუალამისას ქარი ჩადგა, მაგრამ სიცივემ კი ერთი ორად იმატა. ჩვენ ყველანი კარგად ვგრძნობდით თავს. სიცივე მეტ ძალას გვმატებს სიცოცხლისთვის, თითქოს სიკვდილის შიშიც გადამეყარა გულიდან. ვისთანმე ბაასი კი ისევ წინანდებურად მწყუროდა.

— რაც ჩვენ აქა ვართ, ასეთი სიცივე არ ყოფილა?— გამოელაპარაკა ერთი ფიფქი ჩემს ნაცნობს.

— ჰო, ძალიან ცივა,—მიუგო ჩემმა ნაცნობმა.—ჩუმად თორემ ე მანდ ჩვენ ზევით ერთი მეტად გულკეთილი ფიფქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრობს: რომ გაგიგონოს, ტირილს დაიწყებს: „ბებერ ტირის, „ბებერს სცივაო“. მე ლახვარსავით მომხვდა გულში მისი დაცინვა და საყვედურით მივმართე:

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა დასაცინია ვისიმე სიბრალული?

— შებრალება ვისიმე პირიქით მოსაწონიც არის, მაგრამ შენ მეტის მეტ სულგრძელობას იჩენ ბებრის სიბრალულში ხანდისხან. არა, თუ შენ საკუთარ სიცოცხლეს არ აფასებ, ჩვენსასაც-კი თან ატან. ამის ნება არა გაქვს.

მე პასუხი აღარ გავეცი, ისინიც გაჩუმდნენ. მართლაც მეც ვგრძნობდი, რომ რაც მე აქა ვარ, ასეთი სიცივე არ ყოფილა და ბებრის შესახებ რაღაც არა სასიამოვნო წინადგრძნობა გულს უსიამოვნოდ მიღელვებდა.

გათენდა. ქვეყანა კვლავ გამოცოცხლდა. ღამის ყინვისგან გათოშილი არსებანი აღტაცებით მიეგებნენ დღის მნათობის სიცოცხლის მომტან სხივებს. სოფელი ახმაურდა. ჩვენ ქოხთანაც რაღაც მოძრაობა და ხმაურობა შეიქნა. მე გაფაციცებით უგდებდი ძირს ყურს. ხმაურობა მატულობდა... ხალხი იკრიფებოდა...

— „მომკვდარა“... „სიცივისგან გაფიჩხებულა“. . „საწყალი“... მკაფიოდ მოსწვდა ჩემს ყურებს ეს სიტყვები.

მე თავბრუ დამესხა... კარგა ხანი ვიყავ გარეტიანებული, რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში; თავი სიზმარში მეგონა, მხოლოდ ყურს კი განუწყვეტლად მეწვეთებოდა ეს საზარელი სიტყვები: „მოკვდა“, „სიცივისაგან გაფიჩხდა“, „საწყალი“! როცა გონება მოვიკრიფე და თავი დავახწიე ფიქრებს, ჩემი ნაცნობი ფიფქის სიტყვებს მოვკარ ყური, რომელსაც ხმაში კანკალი და აღელვება ეტყობოდა.

— ოჰ, რა საშინელი არსებანი ყოფილან ადამიანები! მათ ცხვირწინ ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც შიმშილისა და სიცივისაგან ელის სიკვდილი, მაგრამ არცერთს ამისთვის ზრუნვა აზრადაც არ მოსვლია. აი, ის მოკვდა კიდეც, მისი ეზო

ხალხით სავსეა, დღემდის კი მის კარზე ადამიანს არ გაუ-
ლია. ხედავთ რა ურცხვად იმეორებენ: „მომკვდარა“, „სიცი-
ვისაგან გაფიჩხებულა“, „საწყალი“? ერთმა ორმა გულჩვილობაც
გამოიჩინა: ცრემლები გადმოჰყარეს, არ ვიცი—ბებერს სტი-
რიან, თუ თავიანთ დანაშაულს გრძნობენ და ის ატირებთ.
რატომ არ რცხვენიათ, რომ აქ ბებრის სანახავად მოდიან.

— „მოკვდა“, ოჰ, როგორ მძაგს მე ეგ სიტყვა! მეტად
თავზარდამცემი სიტყვაა. სხვანაირად როგორ ითქმის „მო-
კვდა“?—გამოელაპარაკა მას თავისი მეზობელი.

— სხვანაირად... როგორც უნდა სთქვა, მას ისევ ის
მნიშვნელობა ექნება, მოკვდა ე. ი. „იყო და აღარ არის“.

ორივენი გაჩუმდნენ. მე გული ბოღმით ამევსო. მომა-
გონდა ჩემი აქ მოსვლის პირველი დღე და ჩემი ნაცნობის
სიტყვები: „აქ სიცოცხლე ისეთი ტკბილი როდია, როგო-
რიც შენ გგონია“ ვინ იცის მართლაც რამდენს გულმომწ-
ყვეტ რასმე ვნახავ, თუ დიდხანს ვიცოცხლე. ნეტავი მალე
მოკვდე... სიტყვა ველარ დავათავე გული გადმოიბრუნდა,
არა, არა, სიცოცხლე ტკბილია, ტკბილი, ის სტყუის. მე სი-
ცოცხლე არას დროს არ მომწყინდება. გადავწყვიტე ვიცო-
ცხლო. მე ისევ სიცოცხლე ვამჯობინე სიკვდილს, მაგრამ
თურმე ჩემი სიცოცხლის დღეები უკვე დათვლილი იყო.

ბებრის სიკვდილის შემდეგ, არ მახსოვს მესამე თუ მეო-
თხე დღე საშინელი ცხელი იყო. ქვეყანა გამოცოცხლდა: ზამთ-
რის სუსხისგან მობუზულნი წელში გაიშალნენ; ბუნებას რა-
ლაც სიცოცხლის ელფერი დაედო, თითქოს მან ღრმა ძილი-
დან გამოიღვიძა.

„ზამთრის დღეს არა ჰგავს, ნამდვილი ზაფხულია, ზაფ-
ხული“, მესმოდა ხშირად ეს სიტყვები. სიტყვა „ზაფხული“-ს
მნიშვნელობა არ მესმოდა, მაგრამ არ მინდოდა ვისთვისმე
მეკითხნა, რადგანაც, როგორც მე, ისე ისინი ვერა გრძნობ-
დნენ თავს კარგად. საერთოდ რაღაც სენმა შეგვიპყრო და

საშინელი კვნესა ისმოდა ჩემს გარეშემო. შუა დღისას ჩვენ-
მა სნეულებამ საშინლად იმატა: ბევრი სულთმობრძავი შეიქ-
ნა; მეც მძიმე ავადმყოფი შევიქენ. ვგრძნობდი, რომ ბოლო
მელებოდა, თან თითქოს მებრალებოდა ჩემი თავი სასიკვდი-
ლოდ, თან-კი თითქოს არ ვწუხდი.

შუადღე გადასული იყო, რომ მე გრძნობა დავკარგე:
ველარაფერს ვიგებდი, რა ხდებოდა ჩემს გარშემო.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩემი ასეთი მდგომა-
რეობა; მხოლოდ გონს რომ მოვედი, უცნაური ცვლილება
ვნახე ჩემში: აღარ არის თოვლის პატარა ფიფქი,—ის სად-
ღაც გამქრალა; მის ალაგას ერთი წვეთი წყალია, ისეთივე
კამკამა, როგორც თოვლის ფიფქი.

გამოურკვეველმა ფიქრმა წამიღო.—რა ვქნა, რა მოხდა
ეს?—ვფიქრობდი მე.—ნამდვილად მახსოვს, რომ მე მოვკვ-
დი, მაგრამ ისევ-კი ვგრძნობ ყველაფერს, ეს როგორ არის?
„მოკვდა—სხვანაირად ითქმის: იყო და აღარ არის",—სთქვა
ერთხელ ჩემმა ნაცნობმა. მე მოვკვდი, მაგრამ ისევ კი ვარ:
ესე იგი ყველაფერს ისევ ისე ვგრძნობ, როგორც მაშინ,
როდესაც ფიფქის სახე მქონდა. მაშ ჩემი ნაცნობის სიბრძნე
სიცრუეა. „მოკვდა" იმას-კი არ ნიშნავს: იყო და აღარ არი-
სო, არამედ იმას: „გარდიქმნა, სხვა სახე მიიღო". მე თოვ-
ლის ფიფქი ვიყავ, ახლა-კი წყლის წვეთი ვარ, რომელიც
ისევე გრძნობს ყველაფერს, როგორც თოვლის ფიფქი,—გა-
დავწყვიტე მე, და გულმა სიხარულით ძგერა დამიწყო.

მე არ მომკვდარვარ!..

მინდოდა შემეტყო,—რა ბედი ჰხვდა სხვა ჩემს ამხანა-
გებს, მაგრამ აღარ დამცალდა: ჩემს უნებურად ავმოძრავდი,
გავგორდი ქვევით, შევუერთდი სხვა წვეთებს (ალბად წინან-
დელ ფიფქებს). ჩვენზე წინმყოფი წვეთები წკრიალით მი-
დიოდნენ ძირს და ჩვენც ჯერს ველოდით.

გულმა აღარ გამიძლო და გადავიხედე ძირს, რომ გამე-
გო როგორ დაბინავდნენ ჩვენზე წინ ჩაცვივნული წვეთები.

ოჰ, საშინელებავ!... ჩემ სიცოცხლეში ისეთი მწარე წუთები არ გამომივლია. ახლაც თავზარს მცემს მისი მოგონება.

ჩავიხედე ძირს, რომ დამენახა ჩემი ამხანაგები, და რა ვნახე, სად არიან კამკამა წყლის წვეთები?!

მათ მაგიერ მთელს ეზოში ლაფია გათქეფილი და აჭიჭყნულ-დაჭიჭყნული. მე მაშინვე მივხვდი, თუ რა ბედი ეწია ჩემს ამხანაგებს და ან მე რა მომელოდა. მთლად გადავირეე... არა, არ შემიძლია... მე. მე მანდ არ ჩამოვალ... აქ მოვკვდები, და მაგ ლაფში კი არ ჩამოვვარდები,—ვყვიროდი რაც ძალი და ღონე მქონდა.

— ერთი უყურე, როგორ ღრიალებს უბედური! რაც ფიფქი იყო, ის წყლის წვეთია. მეორედ დაიბადა და სისულელეც ისევ თან დაჰყოლია,—მომესმა ძირიდან ჩემი ნაცნობი ფიფქის ხმა. ეტყობოდა ის ჩვენზე წინ ჩასულიყო და ტალახს შეერთებოდა, რადგანაც მარტო ხმა ისმოდა; თითონკი აღარსად სჩანდა. მე ლახვარსავით მომხვდა გულზე მისი ხმა. დასწყევლოს ღმერთმა: კიდევ არ მეშვება. უბედური, როგორ დამცირებულია, ველარც-კი იცნობ; თავისი ნამდვილი სახე აღარც-კი აქვს, და კიდევ მე დამცინის...

კიდევ რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ აღარ დამცალდა: თვალის დახამხამებაზე ძირს ტყაპანი მომძვრა!..

ხელად გავშავდი... თითქოს დავმძიმდი კიდეც... უცებ გადავგორდი და ჩაღრმავებულ ალაგას ჩავდექი, სადაც ბევრ ჩემ ამხანაგებს მოეყარათ თავი; მაგრამ ისინი ძნელი საცნობები ღა იყვნენ: სრულებით გამოცვლილიყვნენ, მიწის ფერი დასდებოდათ.

— როგორ იკადრე, ძმობილო, ძირს ჩამოსვლა: ხომ გალაფიანდები?—მომესმა ხმა ჩემი ნაცნობისა. ისედაც სევდით სავსეს მისმა სიტყვებმა ცეცხლი მომიკიდეს გულზე და წყენით უპასუხე:

— არა მგონია, ძმობილო, რომ გიხაროდეს ლაფში გდება!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მიხარია, მაგრამ არც შენსავით თავს ვიკლავ. ეჰ, შენისთანა სულელთან ღირს ლაპარაკი?..

— ნეტა რა შეგმატა მაგ შენმა სიბრძნებ? შენმა ბრძენ-მა თავმაც მაგ ლაფის გუბეში მიგიყვანა და ჩემმა სულელმა თავმაც გაიგნო გზა ლაფისკენ. აბა სხვას რას იკვეხი?

მე აღარ შემეძლო მასთან ლაპარაკი, ცოტა ქვეით ჩავ-გორდი და სხვა წვეთებს შეუერთდი. ესენი სულ უცნობები იყვნენ. კარგა-ხანს ჩუმად ვიყავით. ეს მერჩივნა; დაცინვა მაინც აღარავისგან მესმოდა!

ჩემს ახალ ბინას ბლომად სტუმრები ეწვივნენ: ყველა მხრიდან გროვდებოდნენ წყლის წვეთები. პატარა ხანს უკან ჩვენი ამ ბინაზე ყოფნა შეუძლებელი შეიქნა: მეტად გავბევ-რდით, იქ ველარ ვეტეოდით. გადავწყვიტეთ მიგვეტოვე-ბინა ეს ბინა. სხვა ჩემი ამხანაგები კოხტად გადასრიალდნენ. მეც იმათ გადავყევი. დავქანდით ქვეით და ერთ პატარა რუს შეუერთდით.

რუ მხიარულად მიექანებოდა ქვეით და თან მილაპარა-კობდა. მე სულ-განაბული ყურს უგდებდი სხვა-და-სხვა წვე-თებ შორის გამართულ ბაასს და თან გული მისკდებოდა, რომ უცებ იმ ბოროტი ფიფქის ხმა არ მეცნო იმათში. მაგრამ იმის ხმა არსად ისმოდა. ეტყობოდა,—ის იქ დარჩა ლაფში. ახია მაზე: არ სწყინს ლაფში გდება, და დეე ეგდოს, რამდენიც უნდა.

თან-და-თან სირბილს უკელით და მძიმე-მძიმედ დავიწ-ყეთ გორვა: ცოტა ამაღლებული ალაგი დაგვხვდა და გაგვი-ძნელდა სიარული.

— ძმობილო, აქ ასვლა ცოტა გაგვიძნელდება: მოდი ეგრე გადაუხვიოთ, და ემანდ ძირს მიწიდან კამკამა წყარო ამოსჩქეფს, იმას შეუერთდეთ,—მომმართა ერთმა წვეთმა.

— ძალიან კარგი იქნება,—მიუგე მე:—მაგრამ კამკამა წყარო რათ მიგვიღებს ლაფში ამოთხუპნილებს? სირცხვილით როგორ ვეჩვენოთ: ხომ სასაცილოდ აგვიგდო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ნუ გეშინია, იმასაც ბევრი ამგვარი გადახედავ: არ გაუკვირდება. შეუერთდეთ და ორი წუთის შემდეგ ჩვენც ისეთივე კამკამა ვიქნებით, როგორც ეს წყარო.

მე სიხარულით ამევსო გული, რომ ეს წვეთი ჩემ ძველ ნაცნობს არ ჰგვანდა და სიხარულითვე უპასუხე:

— შენი ნებაა: შეუერთდეთ წყაროს, მხოლოდ ხომ სამუდამოდ იქ დავრჩებით.

— სამუდამოდ? არა! შეიძლება დღესვე მოვიდნენ ადამიანები, ამოგვიღონ და სახლში წაგვიღონ სახმარებლად.

— არა, სჯობია წავიდეთ შორს, მდინარეს შეუერთდეთ და იმას გავყვეთ ზღვაში.

სეგდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღდგომა სოფლად

ილა არის, ცისკრის ღიმილს
მკერდზე იქსოვს ცის კამარა,
სიო არღვევს ფოთოლთ დუმილს,
მღერის წყარო ბროლ ანკარა;

მის ნაპირზე ბაჟია ჰხტის,
ნამძინარევ შუბლს იგრილებს,
ნიავს ნისლი დაულალავს,
ხევისაკენ მიაცილებს,

და გზა და გზა ფრთების რხევით
წამოფურჩქნის მთის ყვავილებს,
ნამისაგან თავჩაქინდრულთ,
ნამისაგან დავდახრილებს.

დილა არის... ტყეს მძივები
უპრიალებს ლურჯ კაბაზე,
თმა ხუჭუჭა ტირიფები
გადახრილან ლაჟვარდ ტბაზე;

ცრემლი მოსწყდა ხუჭუჭა ვარდს,
დაუგორდა ლამაზ ყბაზე,
ფრინველები ფრთხიალობენ,
ჟღურტულობენ სხვა-სხვა ხმაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვირცხლი დილის წრფელ სიხარულს
ყველაფერი ინაწილებს,
დღეს ბუნება ველარ ატკბობს
მხოლოდ ტანჯულ შრომის შვილებს.

დღეს დიდებულ დღესასწაულს
სევდით ამცნობს სოფელს ზარი,
დღეს მეორე აღდგომაა,
რაც ილვრება სისხლის ღვარი;

სდუმს სოფელი... ჩუმად ჰგოდებს,
სევდის დალი დასჩენია,
ალარავინ ალარა ჰყავს,
ალარავინ შერჩენია;

მხოლოდ აქ-იქ თუ შეალებ
ჩაგრულთ ქოხებს, გადახრილებს,
ნახავ მოხუცთ, ქვრივს და ობლებს
სიმწუხარით თავდახრილებს.

ი. სიხარულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღვნად შიოს

(ქუთაისის ხაშეურნეო ხელოვნების ქართველ მაჰმადიანის მიხალშება)

ოგესალმები, მგოსანო, ქართველი მაჰმადიანი,
მწარე ცხოვრებით დასჯილი, ჩაგრული, გულსევდიანი.
შენ კარგად იცი, რომ ბედმა დაგვყარა თვალცრემლიანი,
გაგვიპარტახდა სამშობლო, კოხტა ველ მინდორ-მთიანი;
ბევრს დაგველუპა მშობლები ⁄ მოვსთქვამთ ძაძებიანი...
ნეტავი, როდის იქნება გვეღირსოს დღენი მზიანი.

ნუ გამკიცხავ და აქამდე ვერ გცნობდი მე შავდღიანი:
ბავშვთა მღერალი ყოფილხარ, საამო, ტკბილი ხმიანი;
მაღალმა ღმერთმა გიკურთხოს კალამი ბასრი, ფხიანი,
კვლავ გვიჩიკჩიკე მრავალ წელს, გვასმინე ენა წყლიანი.
ნუ მიწყენ, აგერ გავზრდილვარ ამხელა ადამიანი,
ახლა გავიგე: ვყოფილვარ ქართველი მაჰმადიანი.
ბედნიერი ქნას უფალმა ჩვენი გაცნობა გვიანი.

ი. სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედის კალოშები

(დასასრული)

გადამწერლის გარდაქმნა.

ხლა გავიხსენოთ პოლიციელი, რომელმაც ქუჩაში კალოშები იპოვნა და საავადმყოფოში წაიღო. იქიდან ეს კალოშები დაუბრუნეს, და რადგან პატრონი არ აღმოუჩნდა, აფიცერმა და ამ ქუჩის მცხოვრებლებმა თავისად არ იცნეს, ქუჩის მცველმა კალოშები პოლიციის სამმართველოში გადასცა.

— ნამდვილად ჩემ კალოშებს არა ჰგავს! —სთქვა პოლიციის გადამწერელმა, რომელმაც ნაპოვნი კალოშები ჩაიბარა და თავისი კალოშების გვერდით დააწყო. —თვითონ გამკეთებელიც ვერ გაარჩევს იმათ ერთმანეთში.

— ჩაიბარეთ, ბატონო, —მიმართა გადამწერელს მსახურმა და რაღაც ქაღალდები გადასცა. მოხელე ცოტა ხანს ესაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრა მსახურს და როცა საუბარი დაასრულა და იმავ-კალოშებისაკენ შემოტრიალდა, სრულებით დაავიწყდა მარჯვნით, თუ მარცხნით ეწყო იმისი კალოშები.

— ნამდვილად ეს დასველებული კალოშები ჩემი იქნებაო,—იფიქრა მოხელემ და რასაკვირველია შესცდა, რადგანაც ეს ბედის კალოშები იყო. განა არ შეიძლება, რომ პოლიციის მოხელეც შესცდეს?

გადამწერელმა ჩაიცვა ბედის კალოშები, ერთი ხვეული ქაღალდები ჯიბეში ჩაიდო, მეორე-კი—იღლიაში ამოიდო. ყველა ეს ქაღალდები სახლში უნდა წაეკითხა და გადაეწერა. კვირა დღე იყო და მშვენიერი დარი იდგა.—სწორედ სასეირნო დროა,—იფიქრა მოხელემ და ფრიდრიხსბერგისაკენ გაუდგა.

მოხელე მშვიდობიანი და გამრჯელი ახალგაზდა კაცი იყო; ამიტომ, რასაკვირველია, ჩვენც გზა მშვიდობისა უნდა დაულოცოთ. დიდხანს ჯდომასა და მუშაობას შეჩვეულს გასეირნება უეჭველად მოუხდებოდა. უდარდელადა და უაზროდ მიაბიჯებდა ფეხებს და ამიტომ კალოშებსაც შემთხვევა არ მიეცათ თავისი ჯადოსნური ძალა გამოეჩინათ.

სასახლის დიდ ხეივანში თავის ნაცნობს, ახალგაზდა პოეტს გადაეყარა, რომელმაც უთხრა,—ხვალ სამგზავროდ უნდა წავიდეო.

— შურის თვალით გიცქერით!—უთხრა გადამწერელმა.—ბედნიერი, თავისუფალი კაცი ბძანდებით; სადაც გსურთ—იქით გაფრინდებით. ჩვენ-კი ერთ ადგილას მიჯაჭვულნი ვართ.

— მართალია!—უპასუხა ნაცნობმა:—მხოლოდ საქმე იმაშია, რომ საკუჭნაოს კარებზე მიჯაჭვულნი ბძანდებით და ხვალინდელი დღისათვის ზრუნვა არ გაწუხებთ. როცა მოხუცდებით, საკმაო პენსია დაგენიშნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც თქვენი ბედი ჩვენსას სჯობია!—სთქვა—მოხელემ.—რა სასიამოვნო საქმე უნდა იყოს ლექსების წერა. მთელი ხალხი მადლობას გიძღვნით და ამავე დროს თქვენი თავის ბატონ-პატრონი ბძანდებით. აბა ერთი სცადეთ და ეს გულის—მომწყვლელი საპოლიციო ქაღალდები გადასწერეთ!

პოტმა თავი გააქნია; გადამწერელმაც გააქნია თავი. თვითეული მათგანი თავის აზრზე იდგა და ისე დაშორდნენ ერთმანეთს.

— სწორედ უცნაური ხალხია ეს პოეტები!—სთქვა მოხელემ.—ნეტა ერთი იმათ გულში ჩამახედვინა, მეც პოეტად გადამაქცია. დარწმუნებული ვარ, რომ სხვებსავით აბდა-უბდა ლექსებს არ გამოვაცხობდი. დღეს ხომ ნამდვილი გაზაფხულია პოეტებისათვის: საოცრად სუფთა ჰაერი, ცაზე თეთრი ღრუბლები. კარგა ხანია არ გამომიცდია ასეთი ბედნიერი გულის ძგერა!

უთუოდ მიხვდებოდით, რომ გადამწერელი პოეტად გადაიქცა. მხოლოდ გარეგნობით ამას, რასაკვირველია, ვერავინ შეამჩნევდა.

მარტო სულელებს ჰგონიათ, რომ პოეტებს ჩვეულებრივი ადამიანების სახე არა აქვთ. კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვეულებრივ ადამიანთა შორის ზოგიერთ სახელგანთქმულ პოეტებზე უფრო ნიჭიერი, ბუნებით პოეტები მოიძებნებიან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პოეტ—მწერალს უფრო კარგი მეხსიერების ძალა შესწევს, შეუძლია თავისი ფიქრები და გრძნობები შეაკავოს, სანამ ისინი ნათლად და გარკვევით სიტყვებში არ გამოისახებიან. სხვებს-კი ეს არ შეუძლიათ. ჩვეულებრივ ადამიანის ნიჭიერ მგოსნად გადაქცევა კი ძნელი საქმეა; და ეს საქმე ჩვენმა გადამწერელმა შეასრულა.

— რა საუცხოო ჰაერია!—სთქვა მან:—როგორ ცხოვლად მაგონებს ჩემი კეთილი დეიდას იებს! ოჰ, მაშინ მე პატარა ბიჭი ვიყავი. ღმერთო ჩემო, დიდხანს არ გამხსენებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დრო! კეთილი ადამიანი, გაუთხოვარი ქალი, დეიდა ჩემი, აი ამ ბირჟის შენობის უკან ცხოვრობდა. რაც უნდა სასტიკი ზამთარი ყოფილიყო, მის ოთახში ყოველთვის ნახავდით ქვავილებს და ქოთნებში ჩარგულ მცენარეებს. იები სურნელებას ჰფენდნენ ოთახში; მე, ფანჯარაზე მიმდგარი, უბერავდი გაყინულ შუშას, რომ ყინული დამედნო და ქუჩაში გამეხედნა. რა ლამაზი სანახავი იყო! ყინულში ჩამდგარი გემები მოჩანდნენ. სულდგმული ადამიანის ჭაჭანებაც არ იყო ზედ და მყვირალა ყვავები დაჰპატრონებოდნენ. როცა გაზაფხულის თბილი ნიავი იწყებდა ქროლას, გარეშამო განახლებული სიცოცხლე იღვიძებდა. მუშა ხალხი სიმღერითა და ურას ძახილით სჭრიდა ყინულს. ჰღებავდნენ გემებს და სამგზავროდ ამზადებდნენ. მე კი აქ დავრჩი, მუდამ აქ უნდა ვიყო, აშმორებულ პოლიციის გამგეობაში უნდა ვიჯდე და ვაძლიო პასპორტები ყველას, ვინც უცხოეთში მიემგზავრება. ასეთი ბედი მიწერია. ოჰ,—ამოიოხრა მოხელემ:—ღმერთო ჩემო, ეს რა მემართება: ასეთ გუნებაზე წინად თავის დღეში არ ვყოფილვარ,—ასე არ მიგრძვნია და არ მიფიქრია. უთუოდ გაზაფხულის სიოს ბრალია! რაღაც საამო მწუხარება მეფინება გულზე.

ჯიბეში ხელი ჩაიდო და ქაღალდები ამოიღო.—ეს ახლა სხვა გუნებაზე დამაყენებს,—სთქვა მან და პირველ გვერდს გადახედა. „ქალწული ზიგფრიდი, ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია“,—ეწერა ქაღალდზე. „ეს რა ამბავია? ნუ თუ ეს ჩემი საკუთარი ხელნაწერია? ნუ თუ ეს ტრაგედია ჩემი დაწერილია? „გამომჟღავნებელი ეშმაკობა ანუ დღე სინანულისა, კომედია“,—ეწერა მეორე ქაღალდზე.—ეს კიდევ რა არის? უთუოდ ვილაცამ ჩამიდვა ჯიბეში. აგერ წერილიც. წერილი თეატრის დირექტორისაგან იყო. ატყობინებდა—თქვენი პიესები წარმოსადგენად არ მოიწონესო. წერილი ზრდილობიანი არ იყო. ჰმ, ჰმ!—სთქვა მოხელემ და სკამზე ჩამოჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე გული მოულბა. უნებურად იქვე ახლოს ერთი ყვავილი მოწყვიტა. უბრალო გვირილა იყო. რასაც ბუნების მეტყველნი ბევრ ლექციას ანდომებენ, ამ ყვავილმა ერთ წუთში მოუთხრო; მოუთხრო თავისი გაჩენის ამბავი, უამბო, როგორ ჩაუდგა სული მზის ცხოველმა შუქმა, ფოთლები გაუშალა და სურნელება გამოაცემინა. მოხელეს წარმოუდგა ადამიანის სულში გამოცხადებული ღვთიური შუქი, რომელიც მის გულში ფიქრსა და გრძნობას ზრდის და ჰკვებავს

მზის შუქი და ნიავი ტკბილი ალერსით თავს ევლებიან ყვავილებს. ამ ორ მეტოქეებში მზის შუქი უფრო ბედნიერია: მას ეწაფება ყვავილი, და როცა შუქი ჰქრება, ჰკეცავს თავის ფოთლებს და, ნიავის გულზე დაყრდნობილი, ტკბილად იძინებს. „მზის შუქმა შვენებით შემმოსა“, სთქვა ყვავილმა; „ნიავმა-კი სულთქმა გასწავლა“,— წასჩურჩულა პოეტმა.

იქვე ახლოს ერთი ბიჭი იდგა. მან ჯოხი ჩააგდო ტალახიანი წყლით სავსე არხში და იქვე ახლოს ხის მწვანე ტოტებს წყალი შეასხურა. „რამდენი მილიონი უჩინარი სულდგმულია ამ წვეთებში“,—იფიქრა მოხელემ, და ახლა, მაღლა რომ ააგდეს, ალბად ჰგონიათ, რომ ღრუბლებში ამოჰყვეს თავი. ყმაწვილი დაფიქრდა; შემდეგ უცნაურად ეჩვენა თავისი მდგომარეობა და გაიღიმა: „უთუოდ მძინავს და სიზმარში ვხედავ ყველა ამას“,—იფიქრა მან. მაინც საოცარია, როგორ შეუძლია ადამიანს ისე იძინოს, რომ ცხოვლად გრძნობს სიზმარში წუთიერ ოცნებას. რა კარგია, რომ ხვალ, როცა გავიღვიძებ, გამახსენდეს ყველა ეს. საოცარ გუნებაზე ვარ. ყველაფერს ნათლად და გარკვევით ვხედავ, ჩემში მღვიძარე სულს ვგრძნობ. დარწმუნებული კი ვარ, რომ ხვალ ეს ჩემი ოცნება მკრთალ და ბუნდოვან სურათად მეჩვენება. ეს წინადაც ხშირად გამომიცდია. სიზმარში ნახულ მშვენიერ საოცნებო სურათებს ქვესკნელში ქაჯებისაგან შენახულ ოქროს თვისება აქვს: როცა ხელში ჩაიგდებ, ბრწყინვალე და ძვირ-

ფასი რამ არის; მაღლა, მზის სინათლეზე რომ ამოძვრა, — ქვად და დამჭკნარ ფურცლებად იქცევა. — ოჰ! — მწუხარებით ამოიოხრა მოხელემ და თვალი მოავლო მოჭიკჭიკე ჩიტებს, რომლებიც მხიარულად დაფრენდნენ ტოტიდან ტოტზე. — ეს ჩიტები რამდენად ჩემზე ბედნიერნი არიან. ფრენა — ციური ნიჭია და ვისაც ეს შეუძლია — ყველაზე ბედნიერია. რომ შემეძლოს, უთუოდ საყვარელ ტოროლად გადავიქცეოდი.

ამავე წუთში პიჯაკი და ხელები სახელოებით — გაშლილ ფრთებად, ფეხები — ფრინველის ფეხებად და ზედ ჩაცმული კალოშები — ბრჭყალებად გადაექცა. რასაკვირველია ყველა ეს მან ნათლად დაინახა და გულიანად გადაიხარხარა. „აი, ახლაკი ნამდვილად ვხედავ, რომ სიზმარში ვარ. მაგრამ ასეთი სისულელე წინად სიზმრადაც არ მჩვენებიაო“.

მოხელე მაღლა მწვანე ტოტზე აფრინდა და გალობა მოართო; მაგრამ მის გალობას მაღალი აღმაფრენა აკლდა, რადგან მოხელემ პოეტური ბუნება დაჰკარგა. კალოშებს, როგორც ყველას, ვისაც თავისი ხელობა ესმის, ერთბაშად მხოლოდ ერთი საქმის შესრულება შეეძლოთ. როცა პოეტად გადაქცევა ისურვა, კიდევაც გადაიქცა; ახლა პაწია ჩიტობა მოენატრა, და როცა ჩიტის ბუნება შეიძინა, — პოეტის თვისება დაჰკარგა.

— სწორედ სასაცილო ამბავია, — სთქვა მოხელემ: — დღე პოლიციაში ვზივარ, აბეზარ ქალალდებში ჩაფლული, ღამე-კი სიზმარში ტოროლას სახით ფრიდრიხსბურგის პარკში დავფრენ. უებარი საკომედიო მასალაა.

მოხელე ბალახში ჩამოფრინდა, თავი იქით-აქეთ გააქნია და ბალახის ღეროს ჩაუნისკარტა, რომელიც, მასთან შედარებით, ახლა აფრიკის პალმის სიმაღლე ეჩვენა.

ყველა ეს მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. უეცრად არემარე უკუნეთმა ღამემ მოიცვა. ტოროლა — მოხელეს რაღაც ვეება ნივთი დაეცა თავზე: ეს იყო დიდი ქუდი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლის ბიჭმა გადმოისროლა და მოხელე შიგ მოამწყვდია. ვილაცამ ქუდ ქვეშ ხელი შემოჰყო და ისე მაგრად მოუჭირა გადამწერელს ზურგსა და მხრებში, რომ მწარედ ააკვნესა. თავზარდაცემულმა მოხელემ ხმა-მაღლა წამოიძახა: „უსირცხვილო ბავშვო, მე პოლიციის მოხელე ვარ“! მეზობლის ბიჭს მისი ხმა ჩიტის ჟყვირილად მოესმა. იმან ტოროლას ნისკარტზე თითი დაჭერა და თან წაიღო.

გზაში უფროსი კლასის მოწაფეებს გადაეყარა. ბიჭს რამდენიმე გროში მისცეს და ჩიტი გამოართვეს. მალე გადამწერელმა კოპენჰაგენში ერთი ოჯახის ბინაზე ამოჰყო თავი.

— რა კარგია, რომ ყველა ამას სიზმარში ვხედავ!— სთქვა მოხელემ:—ასე რომ არ იყოს, უთუოდ გავბრაზდებოდი. ერთი წუთის წინად პოეტი ვიყავი, ახლა-კი ტოროლა ვარ. პოეტის ბუნება ხომ ცვალებადია; ჩემი გარდაქმნაც უთუოდ ამიტომ ასე ადვილად მოხდა. მაინც საბრალო ყოფაა, როცა ურიცხვ ლაწირაკებს ჩაუვარდები ხელში. მაინც საინტერესოა—შემდეგ რა მოხდება.

ბიჭებმა ტოროლა მდიდრულად მორთულ ოთახში შეიყვანეს. ვილაც მსუქანი ქალი დაუხვდა ღიმილით და უკმაყოფილო დარჩა, რომ ბიჭებმა, მისი აზრით, უბრალო მინდვრის ჩიტი-ტოროლა მოიტანეს. დღეისათვის-კი ნება დართო ოთახში შეენახათ და ფანჯარასთან ერთი ცარიელი გალია მიუჩინა. აი, ამ პაპას უთუოდ ესიამოვნება ტოროლას მეზობლობა!— სთქვა ქალმა და ღიმილით გადახედა იქვე ახლოს



დიდ, მწვანე თუთიყუშს, რომელიც მშვენიერ თითფრის გა-

ლიაში ჩამოკიდულ რკალზე იჯდა და თავმომწონედ ქანაობდა.—დღეს პაპა თუთიყუშის დაბადების დღეა,—ხუმრობით სთქვა ქალმა,—და იმედია პატარა მინდვრის ჩიტი მიულოცავს დღესასწაულს.

პაპას ერთი სიტყვაც არ უთქვამს და ისევ თავმომწონედ განაგრძობდა ქანაობას. იმის მაგიერ მხიარულად აჭიკჭიკდა მშვენიერი იადონი, ამ ზაფხულში თავის თბილ, სურნელოვან სამშობლოდან ამ ქვეყანაში ძალად გადმოსახლებული.

—აი, შე ხმაურავ!—შესძახა ქალმა და თავისი თეთრი ცხვირსახოცი ესროლა.

—ჭიკ, ჭიკ!—წამოიძახა იადონმა:—გარედ უთუოდ საშინელი ქარ-ბუქი იქნება.

პაწია ჩიტმა ამოიოხრა და სდუმდა.

გადამწერელი, ანუ, ქალის სიტყვით,—მინდვრის ჩიტი შეაბძანეს ერთ პაწია გალიაში, იადონის გვერდით, თუთიყუშის ახლოს. პაპამ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იცოდა და ხანდახან ერთობ სასაცილოდ წამოისვრიდა ხოლმე: „არა, ჩვენ ადამიანები უნდა ვიყოთო!“ მისი ჩვეულებრივი ყვირილი კი ისეთივე გაუგებარი იყო, როგორც იადონის ჭიკჭიკი. გადამწერელს კი ყველა ეს კარგად გაეგებოდა, რადგან ის ახლა თითონ იყო ჩიტი და ამხანაგების ენა ჩინებულად ესმოდა.

—მწვანე პალმების და ყვავილოვან ნუშების ტოტებზე დავფრინავდი,—გალობდა იადონი.—ჩემ და-ძმებთან ერთად თავს ვევლებოდი ქორფა ვარდებს და სარკესავით მშუქარე ტბას, რომლის ფსკერზე საუცხოო მცენარეები ქანაობდნენ. ბევრ მშვენიერ თუთიყუშს ვიცნობდი; გრძელ და სასაცილო ამბებს მოგიყვებოდნენ ხოლმე.

—უთუოდ ველური ფრინველები იქნებოდნენ,—მიუგო თუთიყუშმა:—გაუნათლებელი თუთიყუშები. არა, ჩვენ ადამიანები უნდა ვიყოთ! რატომ არ იცინი? თუ ჩვენ დიასახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისას და მის სტუმრებს ჩემი სიტყვები სასაცილოდ მეჩვენა, შენც შეგიძლია იცინო. არა, ჩვენ ადამიანები უნდა ვიყოთ!

— ოჰ, გახსოვს მშვენიერი ქალწულები, გაშლილ კარვის ახლოს ყვავილოვან ხის ჩრდილში რომ ცეკვავდნენ? გახსოვს ტკბილი ხილის გემო და მინდვრის ყვავილების სურნელება?

— ოჰ, როგორ არა,—სთქვა თუთიყუშმა:—მაგრამ აქ მაინც ბევრად სჯობია. ძალიან კარგად მკვებავენ და ჩინებულად მექცევიან. კარგად ვიცი, რომ ჭკვიანი ფრინველი ვარ და მეტი არაფერი მინდა. არა, ჩვენ ადამიანები უნდა ვიყოთ! შენ, ამათი სიტყვით, პოეტური სული გაქვს; მე კი საფუძვლიანად ნასწავლი და გონება-მახვილი ფრინველი გახლავარ. ნიჭი კი არ გაკლია: მოუფიქრებელი ჩიტი ხარ. ისე მაღლა აუწევ ხოლმე ხმას, რომ ცხვირსახოცს გესვრიან. ამას-კი მე ვერ მიბედავენ. ჩემი ფასი იმათ კარგად იციან. პატივისცემითა და მოწიწებით შეჰყურებენ ჩემ ნისკარტს. ამავე დროს შემიძლია მახვილად მოუჭრა სიტყვა. არა, ჩვენ ადამიანები უნდა ვიყოთ!

— ოჰ, ჩემო თბილო, ყვავილოვანო სამშობლოვ!—გალობდა იადონი:—დავმღერ შენ ამწვანებულ ხეებს, მყუდრო ტბებს, რომელთა წმინდა სარკეს ხის ტოტები ეამბორებიან. შევხარი ჩემ ცქრიალა და-ძმების ჭიკჭიკს კაკტუსების სამშობლოში.

— თუ ღმერთი გწამს, შესწყვიტე ეს მწარე გოდება!—უთხრა თუთიყუშმა.—სჯობია რამე მოსწრებული სიტყვა სთქვა და გაგვაცინო. სიცილი სულის უმაღლესი აღმაფრენის ნიშანია. აბა, ერთი მითხარი—შეუძლია თუ არა სიცილი ძაღლსა ან ცხენს? არა, იმათ მხოლოდ ტირილი შეუძლიათ; სიცილი კი მხოლოდ ადამიანებისათვის მოუნიჭებია ბუნებას.—ხა, ხა, ხა!—გაიცინა თუთიყუშმა და ჩვეულებრივად იმახვილა:— „არა, ჩვენ ადამიანები უნდა ვიყოთო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პაწია, უფერულო აქაურო ჩიტო!—უთხრა ტოროლას იადონმა:—შენც ხომ ჩვენსავით ტუსაღი ხარ. შენ ტყეში უთუოდ ახლა ცივა, მაგრამ იქ თავისუფლება ცოცხლობს. გაფრინდი იქითკენ. შენი გალიის დაკეტვა დაჰვიწყებიათ. ფანჯარაც ღიაა. გაფრინდი, გაფრინდი!

გადამწერელმა დაუჯერა და საჩქაროდ გამოფრინდა გალიიდან. იმავე წუთში დაიჭრიალა გვერდის ოთახის კარმა, შემოვიდა დიდი კატა, მწვანე, მოელვარე თვალები შეანათა ტოროლას და დასაჭერად გამოუდგა.

იადონი შეფრთხიალდა თავის გალიაში. თუთიყუშმა ფრთები აათამაშა და დაიძახა: „არა, ჩვენ ადამიანები უნდა ვიყოთო“! გადამწერელს თავზარი დაეცა, სწრაფად გამოფრინდა იგი ფანჯრიდან და სახლების სახურავებს ზემოდ გაუდგა. მალე დაიღალა და დასვენება მოუნდა. ერთ სახლს მოჰკრა თვალი, რომელსაც თითქო კარგად იცნობდა. ფანჯარა ღია იყო და მოხელე შიგ შეფრინდა. ეს მისი საკუთარი ოთახი იყო. გადამწერელი მაგიდაზე ჩამოჯდა.

— ღმერთო დამიფარე!—სთქვა მოხელემ.—როგორ გავჩნდი ჩემ ოთახში? სწორედ უცნაური სიზმარი ვნახე. რა სასულელია!

კალოშების საუკეთესო ღვაწლი.

დილა-ადრიანად, როცა გადამწერელი ჯერ კიდევ თავის ლოგინში იწვა, ვილაცამ კარებზე დაურაკუნა. შემოვიდა მეზობელი, ღვთის-მეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი.

— მათხოვე შენი კალოშები!—სთქვა მან:—ბაღში სინესტეა. მზე-კი მშვენივრად ანათებს. მინდა ერთი ბაღში გავისეირნო და პაპიროსი მოვწიო.

სტუდენტმა ჩაიცვა კალოშები და ბაღში ჩაირბინა, სადაც ერთი მსხლის და ერთიც ქლიავის ხე იდგა. ამისთანა პაწია ბაღიც კოპენჰაგენში დიდი ბედნიერებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტი სეირნობდა. დილის ექვსი საათი იყო. ეკლესიიდან ფოსტალიონის საყვირის ხმა მოისმა.

— ოჰ, მგზავრობა, მგზავრობა!—ხმა მაღლა წამოიძახა სტუდენტმა:—განა ამაზე უკეთესი არის რამ მთელ ქვეყანაზე. ეს ხომ ჩემი გულის უდიდესი ნატვრაა. მხოლოდ მგზავრობაში დამშვიდდება ჩემი აღშფოთებული სული. შორ ქვეყნებისაკენ გაუდგებოდი, დავივლიდი მშვენიერ ქვეყნებს,—შვეიცარიასა და იტალიას.

რა კარგი იყო, რომ კალოშები იმავე წუთში აუსრულებდნენ ხოლმე ადამიანს გულის ნატვრას. სხვებსავით არ სჭირდებოდა ამ კალოშების პატრონს მგზავრობისათვის გამოსაწყობად დროს დაკარგვა.

სტუდენტი მგზავრობდა. შუაგულ შვეიცარიაში ამოჰყო თავი. რვა თანამგზავრთან ერთად ფოსტის დილეჟანში იჯდა. სტუდენტს თავი სტკიოდა; ზურგი გაუშეშდა; ფეხებში სისხლი ჩაუდგა, ვიწრო ფეხსაცმელებში დაუსივდა და ძალიან სტანჯავდა. წამდაუწუმ სთვლემდა. მარჯვენა ჯიბეში შენახული ჰქონდა ქალალდის ფული, მარცხენაში—პასპორტი; გულზე ჩამოკიდებულ ტყავის პარკში კი—ოქროს ფული. ძილში ძალიან ხშირად ელანდებოდა, რომ მთელი თავისი ფული დაჰკარგა, ელდა—ნაკრავივით წამოვარდებოდა, ჯერ მარჯვენა ჯიბისა, შემდეგ მარცხენისა და შემდეგ გულისაკენ გაიკრავდა ხელს, რათა სამკუთხივ დარწმუნებულიყო, რომ ფული თავის ალაგას იდვა. მაღლა დილეჟნის ბადიდან ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებული ნივთები, ქოლგები, პალტოები და ჯოხები—თვალებზე ეფარებოდა და მშვენიერ სანახაობას უჩრდილავდა. სტუდენტი მაინც ხანდახან ქურდულად აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს და გრძნობდა, რომ იმის გულში პოეტური აღმაფრენა იღვიძებდა.

მქისე, დინჯი და დიდებული იყო გარშემო მთელი ბუნება. მაღლა მთის მწვერვალებზე ფიჭვის ტყეები კლდის ხავსივით მოჩანდა და ღრუბლებში იკარგებოდა. თოვლი მოვიდა და სუსხიანი ქარი ამოვარდა.

— ოჰ!—ამოიოხრა სტუდენტმა:—ახლა რომ ალპების გადაღმა მხარეს ვიყოთ, მზე მოგვფენდა თავის ცხოველ შუქს და მეც ჩემ ქაღალდის ფულს დავახურდავებდი. ისე მეშინია არ დამეკარგოს, რომ შვეიცარიის დიდებულ სანახაობასაც ყურადღებას არ ვაქცევ. ოჰ, ნეტავი ალპების გადაღმა მხარეს გადაგვაფრინა!

სთქვა თუ არა—ნატვრა აუსრულდა. შუაგულ იტალიაში გაჩნდა, ფლორენციასა და რომის შორის. ტრაზიმენის ტბას ჩამავალი მზის შუქი მოჰფენოდა და მუქი მწვანე ტყეებით მოსილ მთებს შუა დამდნარ ოქროსავით ბრწყინავდა. იმ ალაგას, სადაც ჰანნიბალმა ფლამინიუსი დაამარცხა, მეგობრულად ტოტებ—გადახლართული ვაზები იდგნენ. ლამაზი, თითქმის ტიტველა ბავშვები გზის პირად ზეთისხილის სურნელოვან ხეების ჩრდილში შავ-ჯაგრიან ღორებს მწყესავდნენ. მთელი ამ საუცხოო სურათის ფერადებით გადაცემა რომ შემეძლოს, ყველა აღტაცებით წამოიძახებდა:—რა მშვენიერია იტალია! მაგრამ ეს არ უთქვამს არც ღვთისმეტყველების სტუდენტს, არც სხვა მგზავრებს, რომლებიც დელეჟანში ისხდნენ.

ურიცხვი გესლიანი ბუზები და კოლოები ესეოდნენ მგზავრებს. ამაოდ აქნევდნენ ისინი აქეთ-იქით ზეთისხილის ტოტებს: აბეზარი მწერები იმათ მაინც არ ეშვებოდნენ. ადამიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ იცნობდა დელეჟანში შებმულ საბრალო ცხენებს: მწვრილებიმათ სქლად მოჰფენოდნენ ზურგზე. მხოლოდ მაშინ ცოტათი სულს მოითქვამდნენ ხოლმე პირუტყვები, როცა მეეტლე კოფოდან ჩამოდიოდა და მისეულ კოლო-ბუზებს უგერიებდა.

მზე ჩავიდა. ტყიანი მთების მწვანე სამოსელი გაშუქდა, ნათელ, თვალწარმტაც სურათად იქცა. უკეთესია თვითონ წაბძანდეთ და ნახოთ: აწერილის წაკითხვას ეს ბევრად სჯობია.

საუცხოო სანახაობა გადაიშალა; მაგრამ მგზავრების კუჭი ცარიელი იყო, სხეული მოქანცული და მათი გულითადი წადილი—მალე ღამის გასათევ ადგილის პოვნა იყო. მაგრამ ვინ იცის, კიდევ რა ელოდა იმათ. დასვენებაზე ოცნებობდნენ და მშვენიერ ბუნებას გულგრილად შესცქეროდნენ.

გზა ზეთისხილის ტყეზე მიდიოდა. მალე ერთი განმარტოებული სასტუმრო დაინახეს. კარებთან რამდენიმე დაკუტებული მათხოვარი იჯდა. იმათში ყველაზე უფრო ჯანსაღი „შიმშილის სრულ-წლოვან პირმშოს ჰგავდა“. უსინათლო, ხელ-ფეხ-გამხმარი, კონკებით მოსილი ხალხი საცოდაობის განხორციელებული სურათი იყო.

— შეგვიწყალეთ, ბატონებო, შეგვიწყალეთ,—ოხვრაკვნესით მიმართეს მათხოვრებმა მგზავრებს და თავისი დასახიჩრებული ხელ-ფეხი აჩვენეს. ახალ-მოსულთ მიეგება ბინძურად ჩაცმული, ფეხ-შიშველა, თმა დაუვარცხნელი დიასახლისი. სასტუმროს კარები ბაწრით იყო დამაგრებული. ოთახში აგურის იატაკი ალაგ-ალაგ ჩანგრეული იყო. ჩარდახიდან ღამურები გამოფრინდნენ. სასტუმროში შმორის სუნი იდგა.

— თუ შეიძლება ბოსელში გაგვიშალეთ სუფრა!—უთხრა დიასახლისს ერთმა მგზავრმა:—უთუოდ იქ ამაზე უკეთესი ჰაერი ტრიალებს.

ფანჯრები გააღეს ჰაერის შემოსაშვებად, მაგრამ ჰაერზე ადრე ფანჯრებში მათხოვრების გამხმარი ხელები გამოჩნდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისმა ძახილი: შეგვიწყალეთ, ბატონებო, შეგვიწყალეთო! კედლებზე წარწერები იყო, უმთავრესად მშვენიერ იტალიის წინააღმდეგ მიმართული.

სადილი მოიტანეს: პილპილითა და მწარე ზეთით შეზავებული წვნიანი, ამავე ზეთით ნასხური სალათა, გამოლაყებული კვერცხები და რაღაც უგემურ წამლის მზგავსი ღვინო.

ღამე მგზავრებმა კარები თავისი სკივრებით გაამაგრეს და მორიგეობით დარაჯობდნენ. პირველი მორიგეობა ღვთის მეტყველების სტუდენტს შეხვდა. სულის შემხუთველ ჰაერში კოლოების ბზუილი ისმოდა. გარედ მათხოვრებს ეძინათ და სიზმარშიდაც საცოდავად კვნესოდნენ.

— ოჰ, კარგია მგზავრობა, ადამიანი რომ უსხეულო არსება იყოს. სხეული უნდა ისვენებდეს, სული-კი ყველგან უნდა დაფრინავდეს. აქ კი ყველგან, სადაც არ მივალ, გულისმომწყვლელ გაჭირვებას ვხედავ. რაღაც უმაღლეს მიზანს, და არა წუთიერ სანახაობას, მიელტვის ჩემი სული. მაგრამ სად და რა არის ეს უმაღლესი მიზანი? გულითა ვგრძნობ, რომ ბედნიერება, უდიდესი ბედნიერება მწყურია!

სთქვა თუ არა ეს სიტყვები სტუდენტმა, ისევ თავის სამშობლოში, თავის საკუთარ ოთახში გაჩნდა. ფანჯრებზე გძელი თეთრი ფარდები იყო ჩამოკიდული და შუა ალაგას იატაკზე შავი კუბო იდგა. კუბოში თვითონ სტუდენტი იწვა, საუკუნო ძილით შეპყრობილი. ნატვრა აუსრულდა: მისი სხეული დასვენებული იყო, სული-კი მგზავრობდა. „სიკვდილამდის ნურავის უძახით ბედნიერს“,—ამბობდა ბრძენი სოლონი, მისი სიტყვები გამართლდა.

ულსულო გვამი—უკვდავების სფინქსია. შავ კუბოში მწოლარე ჩვენი სფინქსიც შეკითხვაზე არაფერ პასუხს არ იძლეოდა.

ოთახში ორი ქალი გამოჩნდა. ორივეს ვიცნობთ: ერთი მწუხარებისა, და მეორე—ბედნიერების ფერია იყო. ფერიები მკვდარ გვამს მიუახლოვდნენ და დააცქერდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა ხომ კარგად ჰხედავ,—სთქვა მწუხარების მოციქულმა,—რა ბედნიერება მიანიჭა შენმა კალოშებმა კაცობრიობას.

— ამ ადამიანს, რომელიც აქ განისვენებს, კალოშებმა მაინც სიკეთე უყვეს,—მიუგო სიხარულის ფერიამ.

— არა!—უპასუხა მწუხარებამ:—იგი თავის ნებით წავიდა: არავის არ მოუწვევია. იმდენი სულის ძალა არ შესწევდა, რომ ადამიანის მოწოდების ასრულება ეტვირთა. ახლა ერთი სიკეთე უნდა უყო!

ამ სიტყვების შემდეგ ფერიამ მკვდარს კალოშები გახადა. საუკუნო განსვენებას ბოლო მოეღო და სტუდენტი მკვდრეთით აღზდგა. მწუხარება და მასთან ერთად კალოშებიც სადღაც გაქრა. ფერიამ ალბად თავისი საკუთრება თან წაიღო.

ილია ნაკაშიძე.

საშკოლონალო ხელოვნება და სახელგანთქმული მკურნალები

(წერილი მესამე და მეოთხე)

ლუი პასტერმა აღმოაჩინა ძაღლის ცოფის წამალი

პასტერი მარტო ზემოთქმულით არ დაკმაყოფილდა. ის ძველებურად განაგრძობდა შრომა-ძიებას. პასტერი დაუღალავად განაგრძობდა ბაცილების და მიკროობების შესწავლას და აღმოაჩინა ის ბაცილაც, რომლისგანაც ჩნდება ძაღლის ცოფი. როცა ეს ბაცილა შეუჩნდება ძაღლს ტვინში, ისე მრავლდება იქ, რომ ძაღლს აგიჟებს—აცოფებს. პასტერი მარტო ცოფის ბაცილის აღმოჩენით არ დაკმაყოფილდა და ახლა თვით ცოფის წამლის გამოძებნას შეუდგა და იპოვნა კიდეც: ეს არის **ცოფის აცრა.** ცოფის აცრით რჩებიან ცოფიანი ძაღლისგან დაკბენილი ადამიანები, ხოლო თუ თვით ძაღლებს აუცრით,—იმათაც აღარ შეეყრებათ ცოფი.

პასტერი გარდაიცვალა **1895** წელს და მთელმა ქვეყანამ გულით იგლოვა მისი დაკარგვა. მაგრამ არ დაიკარგა მისი ნაშრომი: მრავალნი დღესაც განაგრძობენ მისგან გაკვლეულ გზით კვლევა-ძიებას და ცდილობენ უპოვნონ მიზეზი

და წამალი იმ სნეულებათაც, რომელთ შესწავლა ჯერ მოასწრო დიდებულმა მოძღვარმა. იშვიათია დღეს ქვეყანა, სადაც დაარსებული არ იყოს ეგრედწოდებული პასტერის ინსტიტუტი, სადაც არჩენენ ცოფიან ძაღლებისაგან დაკბენილებს...

პროფესორმა კოხმა აღმოაჩინა ის ბაცილები, რომლებიც ყოველწლივ მილიონობით ხოცავენ ხალხს.

პასტერის გზას ადგა დიდებული კოხიც. დაიბადა გერმანიაში, 1843 წელსა. მან აღმოაჩინა ის ბაცილები, რომლებიც ავრცელებენ **ხოლერას** და **ჭლექსა.**

ილია მეჩნიკოვი

სახელ-განთქმულ მკურნალთა რიცხვში უნდა ჩავთვალოთ **ილია მეჩნიკოვიც.** იგი ტომით რუსია; დაიბადა ხარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვის გუბერნიაში; სწავლობდა გერმანიაში და რამდენსაც წელიწადს პროფესორადაც იყო ოდესაში, ხოლო 1890 წლიდან გადასახლდა პარიზში და იქ განაგრძობს სამეცნიერო მუშაობას დიდებული პასტერის ინსტიტუტში. მეჩნიკოვი ექიმი არ არის, მაგრამ მისმა შრომებმა დიდი და დაუფასებელი სარგებლობა მოუტანა მკურნალობას.—ავადმყოფის კარგად წამლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ვიცით ავადმყოფობის მიზეზი,—ამბობს მეჩნიკოვი და სწორედ ამ მიზეზის აღმოჩენას მიაპყრო მთელი თავისი ყურადღება. მან აღმოაჩინა შემდეგი: როცა ადამიანს ანთება და სიცხე აქვს, ეს ავადმყოფობა კი არ არის, არამედ გაცხარებული ბრძოლაა ჩვენი სისხლის პაწია თეთრი ბურთებისა იმ მიკრობებთან, რომლებიც დაესევიან ხოლმე ჩვენ სხეულს სხვადა-სხვა ავადმყოფობის დროს. ასე რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე, საღიანობისა თუ დასნეულების დროს, უხილავი ბრძოლაა ამ უხილავ მიკრობებთანაო. თუ მტერი ცოტაა, სისხლის თეთრი ბურთები ხელად სპობენ მათ და კაცი საღად და ღონივრად არისო; თუ ბევრია, ბრძოლა მწვავდება და ამას ჩვენ ცხადად ვხედავთ ხოლმე ჩვენი ავადმყოფობის ამა თუ იმ ნიშნებით.

აფრიკაში იცის ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც **ძილის ავადმყოფობა** ეწოდება. იმით არის საშინელი, რომ ვისაც კი შეეყრება, ძილს ველარ გამოერკვევა, სულ სძინავს. აღმოაჩინეს, რომ ეს სენი წარმოსდგება ერგვარი ბაცილისაგან, რომელსაც ამრავლებს ადამიანის სისხლში ბუზი **ცეცე**. ეს ბაცილები იმით არის შესანიშნავი, რომ გაჩნდებიან ადამიანის სისხლში თუ არა, ხელად შეუტევენ სისხლის წითელ ბურთებს და მთლად სპობენ, რის გამოც დიდ ტანჯვაში ვარდება ავადმყოფი.

ამ აღმოჩენის შემდეგ, მეჩნიკოვმა მთელი თავისი ყურადღება ახლა იმას მიაქცია, თუ რით და როგორ უნდა შეეწყოს ხელი სისხლის თეთრ ბურთებს, რომ მუდამ გამარჯვე-

ბით შეეძლოთ მიკრობებთან ბრძოლა. ეს ბრძოლა ადამიანს ძლიერ ასუსტებს და აბერებსო, მაგრამ რამდენათაც უფრო მოვახერხებთ მიკრობების შესუსტებას, იმდენად თვით ჩვენც საღი და ღონიერნი ვიქნებით და შეგვეძლება 200 და მეტი წელიწადი ვიცოცხლოთო. მაგრამ რით და როგორ შევასუსტოთ ეს მიკრობები, ხოლო გავაძლიეროთ თეთრი ბურთები ჩვენი სისხლისა, ამაზე მეჩნიკოვი სდუმს და ჯერჯერობით გადაჭრილი პასუხი არ მოუცია, გარდა იმისა, რომ გვირჩევს მაწონი გავიხადოთ ჩვენ ყოველდღიურ საჭმელად, რადგანაც იგი ფრიად უხდება ჩვენ სტომაქსაო. ჩვენ კი ასეთ უებარ საშუალებად **სხეულის** ფიზიკური (მეტადრე სამეურნეო), მუშაობა, მასსაჟი (დაზელვა სხეულისა) და გიმნასტიკა მიგვაჩნია და ყოველი ჩვენგანიც დაუზარებლად უნდა მისდევდეს ამას. მუშაობაში სხეული იწვრთვნება, სიმტკიცე ემატება და მაშინ იგი ადვილად ებრძვის ყოველნაირ სნეულებას. გამოსცადეთ ყველამ და ნახავთ, რომ ესეც ისეთივე უებარი აღმოჩენაა, როგორიც ჯონ პენტერისაგან ხლოროფორმისა, პასტერისაგან ბაცილა-მიკრობების თუ ცოფის აცრა-წამლობისა, ჯენნერისაგან ყვავილის აცრისა და მეჩნიკოვისაგან **სი**სხლის ბურთებსა და მიკრობებს შორის გამუდმებული **ბრძოლის** აღმოჩენაა...

სამკურნალო ხელოვნება და სახელგანთქმული მკურნალები საქართველოში

ქართველებს ექიმობა ძველიდანვე სცოდნიათ, თვით იმ დროსაც, როცა ჩვენი ხალხი მზესა და სხვა მნათობთ ლოცულობდა. მეტადრე დიდ წარმატებაში შესულა მკურნალობა ჩვენში ქრისტიანობის მიღების შემდეგ. ამაში ქართველთ ნიჭს ხელს უწყობდა თვით ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნება. ქართველებში ექიმობას მისდევდნენ უფრო ხნიერი მამაკაცნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დედაკაცნი. ახალგაზდები ჩვენში ექიმობას ხელს ვერ ჰკიდებდნენ, რადგანაც იცოდნენ, რომ მათ ისე არ ენდობოდნენ.

„ექიმობა უფრო მოხუცი ხალხის საქმეა, ანუ წმიდა მამებისა და წმიდა კაცებისაო“... ჩვენი ხალხის ასეთი შეხედულება კარგად გამოიყენეს ჩვენმა წმიდა მამებმა და ფრიად მარჯვედაც დაუკავშირეს იგი თვით ქრისტიანობის ქადაგებას და გავრცელებას ხალხში. ჩვენი წმიდა მამების ცხოვრების აღწერიდან ნათლად სჩანს, რომ ყველა ჩვენ წმიდა მამებს და თვით მოციქულთა სწორს წმ. ნინოსაც საკმაოდ სცოდნიათ მკურნალობა. წმ. ნინომ რომ აქიმობაც იცოდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ როცა მირიან მეფის ცოლი, ნანა დედოფალი, ავად გახდა და ვერავინ მოარჩინა, იგი ნინომ მოარჩინა. ასევე საკმაოდ იცოდნენ მკურნალობა ჩვენში ქრისტიანობის სხვა მქადაგებლებმა და ბერებმაც. ამის ცხად მაგალითს წარმოადგენენ მეექვსე საუკუნეში საქართველოში მოსული ცამეტი სირიელი მამანი, რომელნიც საქართველოდან იყვნენ სირიაში გაგზავნილნი საქრისტიანო სწავლასა და სამკურნალო ხელოვნების შესასწავლად და როცა შეისწავლეს და კვლავ საქართველოში დაბრუნდნენ, ბერებად აღკვეცილები, მიმოიფანტნენ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში და იწყეს იქ ქრისტიანობის სწავლა-ქადაგება და თან ხალხის მკურნალობა. ამისავე ცხად მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე მირვანოსი, ბერობაში წმ. პეტრედ ცნობილი, შვილი საქართველოს მეფის ვარაზ-ბაქარისა (379 წ.), რომელმაც, ბევრ სხვა ცოდნათა გარდა, ისე კარგად იცოდა მკურნალობა და ისე მარჯვედ და ხელოვნურად არჩენდა ავადმყოფებს, რომ სირიასა და საბერძნეთში ყოფნის დროს ხალხი მას სასწაულთ მომქმედად რაცხდა.

ექიმობა საქართველოში რომ მოფენილა, მერე ისე წასულა წინ და თვით ხალხსაც ისე შეუსწავლია იგი, რომ ყოველ ექიმს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მცოდნე ქართველს თვით ოჯახებში ჰქონიათ „წამალნანები“ (აფთიაქები) და წამლების კეთებაც კარგად სცოდნიათ. ავადმყოფს წამლობაში ექიმი ფულს წინადვე ურიგდებოდა, სასყიდლის ნახევარს ანუ მის რომელსამე წილს წამლის მიცემის დაწყებიდან იღებდნენ, ხოლო დანარჩენს აგრეთვე ნაწილ-ნაწილად ანუ მორჩენის დროს იღებდნენ. ვისაც ფული არა ჰქონდა, იმას ფულის მაგივრად ართმევდნენ პურს, საქონელს, ღვინოს და სხვ. უქონელს და ღარიბებს მუქთად სწამლობდნენ. ხშირად ნისიად წამლობაც იცოდნენ, ხოლო მორჩენის შემდეგ ექიმი თამასუქს ართმევდა. ქართველ ექიმებს და დოსტაქრებს ზოგ რამ წამლების მასალები და ბალახები უცხოეთიდანაც შემოჰქონდათ, მაგრამ მეტ წილს ბალახებისას თვით საქართველოშივე შოულობდნენ. წამლების კეთებაში მათ უწყებული წესებიც იცოდნენ, მაგალითად: მისხლობით წონა, კოვზით, ჭიქით, თასით და სხვა ამგვარით. წამლის დალევის დროსაც მეტად ფრთხილად ეკიდებოდნენ, აგრეთვე დიდად ერიდებოდნენ წამლების მეტის მიცემას, რადგანაც მაშინდელი წამლები უფრო მაგარი თვისების და ზომის იყო და ხშირად წამლის უზომოდ მიღებისაგან ავადმყოფი უფრო ავად ხდებოდა და ზოგი მსხვერპლადაც ეწირებოდა.

ქართველმა ექიმებმა შეგირდების აყვანაც იცოდნენ, მეტადრე უცოლშვილოებმა; შვილიანები კი თავის დღეში არ იყვანდნენ მოწაფეებს ექიმობის სასწავლებლად, ასე რომ, ექიმს რომ ვაჟი არა ჰყოლოდა და ქალი ჰყოლოდა, ის ექიმობას თავის ქალს შეასწავლიდა. ვისაც არც ქალი ჰყავდა, ის თავის ცოლს ასწავლიდა, რის გამოც საქართველოში დედაკაცებშიაც ბევრი იყო ექიმობის მცოდნე. ექიმ-მოწაფეს ათი ან შვიდი, თუ ხუთი წლით იყვანდნენ. მოწაფენი უნდა ყოფილიყვნენ არა ნაკლებ ხუთმეტი წლისა და ქართული წერა-კითხვა და ზოგიერთი რამ საგნები უნდა სცოდნოდა. ზოგი მუქთად ასწავლიდა, ზოგი სასყიდლით. სულ ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი ასწავლიდა თავის მოწაფეებს კაცის ყველა სატკივრის მორჩენა—წამლობას. მოწაფენი რასაც ფულს შოულობდნენ ექიმობით, სულ ოსტატს აძლევდნენ, რადგანაც წამალი და იარაღი ოსტატისა იყო. როცა მოწაფე ავადმყოფთან მიდიოდა, ოსტატი დარიგებას აძლევდა, რომ თუ სნეულებას ვერ მიხვდე, მაშინ უჩემოდ წამალი არ მისცე, მე დამიძახე, მე ვნახავ და ერთად ვუწამლოთო.

მკურნალობის შესწავლასთან ერთად, შეგირდებს წამლების კეთებასაც ასწავლიდნენ და რადგანაც მაშინ აფთიაქები არ არსებობდნენ, ამიტომ ყოველი ექიმი თითონვე აკეთებდა წამლებსა. შეგირდებს სწავლის გათავების დროს ეძლეოდა ექიმ-ოსტატის მოწმობა, ანუ ბარათი, რომ ამა და ამ კაცის შვილმა, აწ ექიმად წოდებულმა, ამა და ამ ექიმთან ამდენი და ამდენი წელიწადი დაჰყო შეგირდად, ექიმობა შეისწავლა და ახლა ნება ეძლევა, რომ იექიმოსო. წერილს ექიმი ბეჭდით აწერდა თავის სახელს და გვარს. მოწმობას აძლევდნენ აგრეთვე სამეფო გამგეობიდანაც, ხშირად თვით მეფე აწერდა ხელს და თავის ბეჭედსაც ასვამდა ზედ, რომ ესა და ეს პირი სანდო ექიმიაო. ამას გარდა ქართველ მღვდელ-მთავრებისგანაც იღებდნენ მოწმობას, რომელსაც მღვდელ-მთავრები თავიანთის ბეჭდით, ლოცვა-კურთხევით და ხელის მოწერით ამტკიცებდნენ. .

ასე და ამგვარად საკმაოდ დიდი რიცხვი მზადდებოდა ექიმებისა და ოსტატებისა საქართველოში, რაიც ფრიად იყო საჭირო სამეფოსთვის, მეტადრე მაშინდელ გახშირებულ ომების დროს. უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ მაშინდელი ექიმები და დოსტაქრები მართლაც ისე იყვნენ დახელოვნებულნი თავიანთ საქმეში, რომ იშვიათად მათ ფეხზე არ დაეყენებინოთ რაც უნდა მძიმედ დაჭრილი და აკუწული ყოფილიყოს კაცი.. თუ სადამდის თავდადებულნი იყვნენ მაშინდელი ექიმები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოსტაქრები, სჩანს იქიდან, რომ ესენი ხშირად თვითონ ... თარ პირსაც კი ხმარობდნენ სამკურნალოდ; მაგალითად: რო ცა საჭირო იყო ჭრილობიდან ანუ მუწუკიდან ჩირქის გამოწოვა, ესენი დაურიდებლად პირით გამოსწოვდნენ ჩირქსა და ამ სახით აჩქარებდნენ იარის მორჩენას. საზოგადოთ ჩვენი ძველი ჯარა-ექიმები ნაქები ყოფილან თვით უცხო მოგზაურთაგანაც. დამსახურებულს ჯარა-ექიმებს ჩვენი მეფეები აჯილდოვებდნენ აზნაურობის და თავადობის ხარისხით, მამულებით, ყმებით და ხშირად ფულითაც.

ივ. როსტომაშვილი.

(შემდეგი იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოსავლეთის სიბრძნე

უსაშინელესი მახვილი კაცისათვის მისი გაუმაძღრობაა; უმტკიცესი ფარი კი—უანგარობა.

—

როდესაც ძაღლი გაბრაზებით უყეფს გორაკს, ვინ იტანჯება უფრო: ძაღლი თუ გორაკი?

—

ვისმე რომ სიკეთე უყო და შემდეგ სამაგიერო მოსთხოვო,—ეს სიკეთის უარყოფა, მასი ფასის დაკარგვაა.

—

ერთ ბონზას *) ჰქონდა მრავალი ძვირფასი სამკაული. ერთხელ ეს სიმდიდრე თავის ამხანაგს უჩვენა.

— დიდათ გმადლობთ ამ თქვენი საუცხოო ნივთებისათვის,—უთხრა ამხანაგმა დათვალიერების შემდეგ.

— რისთვის მეუბნებით მადლობას?—შეეკითხა პატრონი:—მე ის თქვენთვის არ მიჩუქებია?

— ვიცი, მაგრამ თქვენც მხოლოდ უყურებთ მას ისე, როგორც ახლა მე ვნახე; სხვაფრივ არაფერში გამოგიყენებიათ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თქვენ მისი შენახვისათვის ზრუნავთ.

—

*) ბონზა—ბუდდისტების სასულიერო პირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც მარტო სჭამს თავის პურს, ტვირთიც მარტო ეზიდოს.

—

წარმოთქმულ სიტყვას ოთხ რაშ-შებმული ეტლიც ვერ დაეწევა და ვერ დააბრუნებს. ამიტომ შეეჩვიე შენ სიტყვებზე დაკვირვებას.

—

ზრდილობა ის სიმდიდრეა, რომელიც მიმცემს არაფერს აკლებს, მიმღებს-კი ასიამოვნებს.

—

ბრძენი ის არის, ვისი საქმენი, სიტყვა და აზრები ერთმანეთს ეთანხმება.

—

კეთილი საქციელი სიბრძნის საყვარელი შვილია.

—

არაბთა ბრძენს ლოკმანს ჰკითხეს,—ვისგან შეისწავლე სიბრძნეო?—ბრმებისაგანაო,—უპასუხა მან:—ისინი ფეხს ისე არ გადასდგამენ, თუ ალაგი არ გასინჯესო.

დ. ანთაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შარადა

(წარმოდგენილი ბ. ნიორაძისაგან)

I

ერთი — ანჩხლი, კაპასია,
მეორე — ხალხთა ჯიშია,
მესამე — პურის სენია
და აქ გვინდა ვარჯიშია:
ამათი ბოლო ასონი
მოსჭერ, ჩაყარე ჯინშია
და მეოთხეთ დაუმატე
(ნუ ჩამიდგები ჯინშია)
ლიმონის თესლის მსგავსი,
ღირსება მისი სუნშია;
მთელი სიტყვა უსულოა,
ცხოველს სჯობნის ცუნცულშია.

II

ქვეწარმავალს დაუმატე
რაჭველების სიტყვის სართი,
ჩვენი ნაწილი გამოვა,
ყოველდღეა მოსამართი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი ო. მარუაშვილის მიერ)

„მ, , ო

პიროვნებითი ნაცვალი სახელი.

თ, , ლ

მე მოვალ ის?

, კ

მამაჩემის ქალიშვილები

ო ,

წლის 1/12 ნაწილი,

, ლ

ჩაქვში რა მოჰყავთ?

,

ცხენის შვილი

,

მკვდარი ანუ?

,

ო,  ,  , „ ო

მე-3 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა.

სადაც შავარდენი ბუდობს, მტრედი ვერ გაიხარებსო.

რედაქტ. ნინო ნაკაშიძე. გამომც. ტ. ვ. ი. თუმანიშვილი.

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯელ

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6** მან. ნახევარ წლით—**3** მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** ტ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ყვირილაში**—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**